# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 17 მაისი 2006 №110 (2732)

ფასი 50 თეთრი




**როცა ხუთი მიდის და ერთი მოდის**

ზურაბ ხიზანიშვილის ბრიტანული შედარებები

3



**განთესილი სიონი და 11 სავარაუდო მეტოქე**

4



**რუსთავში ხულიგნებს კალათბურთი დაუმალეს. ავიამშენს კი თასი**

14

# ფსონი ძალიან დიდია: ყველაფერი შვილების გარდა!




## საშინლად მხეცს და საშინლად ბითურს ბარსას მაისურა აცვიათ



არსენ ვენგერმა თქვა, თასს თუ მოვიგებ, ჩემს ურწმუნო მეგობრებს ცხვირპირში უნდა ვატაკოო... ფრანკ რაიკარდი გაიქცა, როცა ჰკითხეს, „არსენალს" დიდი ანგარიშით მოუგებთ თუ არაო... სამუელ ეტოო შვილების გარდა ყველაფერს დათმობს ჩემპიონთა თასის სანაცვლოდ... ემანუელ ებუე კი დაახეთქა: რონალდინიო კი არა, თუ გინდა სატანა იყოს, არ მეშინია, ვეთამაშებიო.

დღეს პარიზში ჩემპიონთა ლიგის ფინალია. შეიძლება ისეთი მატჩი გამოვიდეს, მცირე ხნით თუ დაჩრდილოს მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინი, ან ისეთი, მსოფლიოს ჩემპიონატის დროსაც და მის შემდეგაც პარიზულ ფინალზე ლაპარაკობდეს ხალხი. ვნახოთ... აქეთ რონალდინიო, იქით ანრი, რომელსაც რონალდინიოზე უთქვამს, იცინის, მაგრამ მასში უსასტიკესი მხეცია ჩაბუდებულიო.

გუშინწინ კი ერთი სახალისო ამბავი მოხდა ოსლოში. დღევანდელი მატჩის მსაჯი ნორვეგიელი ტერიე ჰაუგეა და მისი ერთ-ერთი ასისტენტი ოლე ჰერმან ბორგანი ოსლოურ გაზეთ „დრამენს ტიდენდეში" „ბარსელონას" მაისურაჩაცმული გამოჭიმეს. ბორგანმა ეს ამბავი ასე ახსნა: „ჩემთან ფოტოგრაფი მოვიდა და ჯერ „ბარსელონას", მერე კი „არსენალის" მაისურით სურათის გადაღება მთხოვა, მაგრამ მას მხოლოდ „ბარსელონას" ფორმა აღმოაჩნდა. საბოლოოდ, სულელურად გამოვიდა. გარწმუნებთ, არც ერთი გუნდის გულშემატკივარი არ ვარ და პატიოსნად ვიმსაჯებ".



ოლე ჰერმან ბორგანს პატიოსნება დასაფიქრებელი გაუხდა

# ცნობილი ძიუდოისტი დავით მარგოშვილი მკვლელობაში ეჭვმიტანილი და დაკავებულია



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, ევროპისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი დავით მარგოშვილი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

მკვლელობა გუშინწინ ღამით თბილისში მოხდა. მოკლულია მარგოშვილის ნათლია, ასევე სპორტსმენი მალხაზ ჯაფარიძე. 25 წლის მოთხილამურე საზარდულის არესა და მუხლში მიყენებული ჭრილობების შედეგად სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა, ხოლო მარგოშვილი სამართალდამცავებმა გუშინ დააკავეს ახმეტაში, საიდანაც ის, სავარაუდოდ, მშობლიურ პანკისის ხეობაში აპირებდა გადასვლას.

ცნობილ ძიუდოისტს ბრალს ალბათ დღეს წაუყენებენ. ბრალი ერთია, ეჭვი მეორე და ამ ეჭვის გამომწვევი მიზეზები და ვარაუდები უამრავი.

ფაქტია საზარელი — რა და როგორ, ჯერჯერობით არ ვუწყით, მაგრამ კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი მოკვდა.

ერთიცაა — ბოლო ხანებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი თუ მოქმედი წევრები არაერთ შარში გაეხვივნენ. თუმცა შარიცაა და შარიც...

# როცა ხუთი მიდის და ერთი მოდის...

## ხიზანიშვილის ბრიტანული შედარებები



...გიორგი ქინქლაძე, მიხეილ ყაველაშვილი, თემურ ქეცბაია — ზურაბ ხიზანიშვილი მეოთხე ქართველია, პრემიერლიგა რომ დააგემოვნა.

...ხიზანიშვილის „ბლექბერნ როვერსი“ აწ დასრულებულ სეზონში მეექვსე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

...ხიზანიშვილმა „ბლექბერნთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

...ხიზანიშვილს ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა...

ზურა შვებულებას ჯერჯერობით თბილისში ატარებს, ისვენებს და სანამ ვარჯიშს განაახლებს, „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...

— რაც „ბლექბერნში“ ითამაშე, ეს ალბათ ჯერჯერობით საუკეთესო სეზონი იყო შენს კარიერაში...

— მანამდე პრემიერლიგიდან არგავარდნისთვის მებრძოლი „ბლექბერნი“ მეექვსე ადგილზე გავიდა — გუნდის ასეთ წარმატებაში მეც შევიტანე წვლილი და „ბლექბერნის“ ხელმძღვანელობამაც ჩემი თამაში დადებითად შეაფასა. ეს სეზონი ჯერჯერობით მართლაც საუკეთესო გამოდგა ჩემს კარიერაში.

— „გლაზგო რეინჯერსიდან“ ისევ ბრიტანულ გუნდში გადახვედი — ბრიტანული სტილი ძალიან გიზიდავს?

— უბრალოდ, ამ ეტაპზე ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. სანანებელი არაფერი მაქვს, ბრიტანეთში მეხუთე სეზონი ჩავატარე და იქაური ფეხბურთის ანბანი კარგად ავითვისე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ბრიტანული სტილი მომწონს.

— ორნახევარი სეზონი „დანდიში“, ორიც „რეინჯერსში“ — შოტლანდიურ პრემიერლიგაში გოლი არ გაგიტანია...

— როცა მცველს გოლი გააქვს, ეს მართლაც განსაკუთრებული შეგრძნებაა — საბედნიეროდ, ნავსი პრემიერლიგის ბოლო ტურში გავტეხე „სიტისთან“.

— საცხოვრებლად მანჩესტერი რატომ აირჩიე?

— ჯერ ბლექბერნში ვცხოვრობდი, მაგრამ მანჩესტერი სულ სხვაა, იქ ცხოვრება უკეთესია.

— ტიტულოვანი და ქარიზმატული „რეინჯერსიდან“ „ბლექბერნში“ გადახვედი — ამას რა შეგრძნება მოაქვს?

— ის, რომ უფრო საფეხბურთო ქვეყანაში მოხვდი.

— განა „ბლექბერნის“ ფანები „რეინჯერსისას“ შეედრებიან?

— გულშემატკივრობაში „რეინჯერსი“ უფრო მაგარია, 65-ათასიანი „აიბროქსი“ სულ ივსებოდა. შეუდარებელია „რეინჯერს“ — „სელტიკის“ დაპირისპირება, ასეთი ინგლისში არაა, ინგლისში უბრალოდ დერბებია. სიყვარულიც სულ სხვანაირი იციან „რეინჯერსის“ გულშემატკივრებმა. როცა „რეინჯერსიდან“ „ბლექბერნში“ მიდიხარ, გულშემატკივარი გაკლდება. არის ერთნაირი ტენდენციებიც, მაგალითად, ბრიტანეთში ინვალიდებს და ასაკოვან ხალხს არ ეშინია ტრიბუნაზე პირველ რიგებში დაჯდომა, არადა, ეს ასეთი ხალხისთვის სახიფათოა. ინგლისში აგრესია თითქმის არაა, ხოლო რეინჯერსელობისას ჯობდა, „სელტიკის“ გულშემატკივარს საერთოდ არ შეხვედროდი ქუჩაში. მხოლოდ ერთხელ იყო, „სელტიკის“ გულშემატკივარი მშვიდად რომ მოვიდა ჩემთან, მიუხედავად რეინჯერსელობისა, კარგი ფეხბურთელი ხარ და ავტოგრაფი მინდაო.

— ფეხბურთელები თითქმის ყველა გუნდში ჯგუფ-ჯგუფად არიან დაყოფილები — რა ნიშნით ხდება ეს „ბლექბერნში“?

— უფრო იმით, თუ ვინ რა სტილის ფეხბურთელია. მე და თუგაი იმიტომ ვმეგობრობთ, რომ მას მოვწონვარ, როგორც ტექნიკური ფეხბურთელი — წამდაუწუმ ბურთის მოშორებაზე რომ ფიქრობენ, ასეთი მცველი არ ხარ, როცა მცველი ბურთს ზუსტად აწვდის ნახევარმცველს, მას საქმეს უადვილებსო, მეუბნება. ის ჩემ მეზობლად ცხოვრობს და ჩემსავით ყოფილი რეინჯერსელია. მოკლედ, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფა და მეგობრობა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული.

— კრეიგ ბელამისთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ნორმალური, მაგრამ მასთან ახლოს არ ვარ. შედარებით ახლო ურთიერთობა მაქვს ლუკას ნილთან და დევიდ ბენტლისთან.

— მენეჯერ მარკ ჰიუზზე რას იტყოდი?

— პრინციპული მწვრთნელია, შემადგენლობის შერჩევისას თამამ, სარისკო გადაწყვეტილებებს იღებდა, მაგრამ პრეტენზიას ვერავინ გამოთქვამდა, რადგან მწვრთნელის გადაწყვეტილებები ამართლებდა.

— „ბლექბერნში“ შენი საუკეთესო მატჩი რომელი იყო?

— „ბირმინგემს“ შინ 2:0 რომ მოვუგეთ, ტელევიზია SKY-მ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელა.

— როგორ ფიქრობ, პრემიერლიგა რითი განსხვავდება ევროპის სხვა ელიტარული ლიგებისგან?



— პრემიერლიგაში უფრო მეტი სისწრაფეა. ინგლისში ბევრი ასაკოვანი ფეხბურთელია, მაგრამ მათ დანარჩენები ავსებენ სისწრაფით. კიდევ ის, რომ როცა მცველი ბურთითაა, მეტოქე თავდამსხმელი მას, ასე ვთქვათ, სულ აზრჩობს. ასე თამაშობს ყველა გუნდი, დიდი „მანჩესტერიც“ და პატარა „სანდერლენდიც“.

— ნაკრებზეც ვთქვათ — კლაუს ტოპმიოლერთან თუ გქონდა საფუძვლიანი საუბარი?

— მალტის ტურნირის შემდეგ არ გვისაუბრია. ტოპმიოლერი ინგლისში აპირებდა ჩამოსვლას, „ლივერპულთან“ ან „ჩელსისთან“ შენს თამაშს დავესწრებიო, მაგრამ ვერ მოახერხა.

— 27 მაისს ახალ ზელანდიასთან და 31 მაისს პარაგვაისთან ამხანაგური მატჩებისთვის როგორ უნდა მოემზადო?

— დასვენება ერთი კვირა მიწევს, სანაკრებო შეკრებამდე ერთი კვირით ადრე კი ინდივიდუალურად დავიწყებ ვარჯიშს.

— როგორ ფიქრობ, რა სირთულეებთან მოუწევს შეჯახება ტოპმიოლერს?

— თუ საქართველოს ნაკრებიდან ხუთი კარგი ფეხბურთელი მიდის, სრულფასოვანი შემცვლელი ერთი მოდის. რაც უნდა მაგარი მწვრთნელი მოვიდეს ნაკრებში, თუ მას სათადარიგოთა სკამზე არ ჰყავს ფეხბურთელი, რომელიც სრულფასოვნად შეცვლის ძირითადიდან ტრავმის თუ სხვა მიზეზის გამო ამოვარდნილ ფეხბურთელს, არ ვიცი, ასეთ დროს მწვრთნელმა როგორ უნდა გააკეთოს კარგი გუნდი.

— წლეულს 25 წლის გახდები — მიგაჩნია, რომ როგორც ფეხბურთელმა, ზრდა უკვე დაასრულე?

— საკუთარ თავს ვატყობ, რომ ყველაფერი კარგად მიდის და მომდევნო სეზონი კიდევ უფრო მეტ გამოცდილებას შემძენს. არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ 25 წლის ფეხბურთელი წინსვლას წყვეტს. ახლახან ზინედინ ზიდანის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობს, 33 წლის ვარ, კარიერას ვასრულებ და ფეხბურთში ბევრი რამ კიდევ არ მესმისო...

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

მეორე ლიგა.
გადასასვლელი პლეი ოფი
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
გრიმსბი 2:1 ლინკოლინი (1:0)

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXXVIII ტური
ოსასუნა 2:1 ვალენსია
სევილია 4:3 რეალი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXXIV ტური
ავსტრია (ლ) 3:3 კაპფენბერგი
ავსტრია (ზ) 4:1 შვანენშტადტი
გრატკორნი 4:0 კუფშტაინი
ლინცერი 1:0 კერნტენი
ლეობენი 1:1 ალტახი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრეი 1:0 ლონგფორდი

### ტულონის საერთაშორისო ტურნირი

20-წლამდელები
B ჯგუფი. I ტური
ჰოლანდია 0:0 კოლუმბია
საფრანგეთი 1:1 მექსიკა

### ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი
ბანიკი 2:0 ჰრადეც კრალოვე
სპარტა 2:0 ბრნო

### ნორვეგია

ტიპელიგა. VIII ტური
ბრანი 2:1 ტრომსიო
ფრედრიკსტადი 2:1 სტაბეკი
ლილესტრიომი 3:0 მიოლდე
ლინი 1:0 ჰამ კამი
რუსენბორგი 1:1 ოდ გრენლანდი
ვიკინგი 1:0 სანდეფიორდი
სტარტი 1:2 ვოლერენგა
პირველი დივიზიონი
VII ტური
ალესუნდი 3:0 ჰიოდი
ბოდიო გლიმტი 0:3 სტრიომსგოდსეტი
ჰაუგესუნდი 1:2 ბრინი
კონგსვინგერი 3:0 ოსლო იოსტი
მოსი 4:1 სპარტა
პორს გრენლანდი 2:2 ფოლო
სოგნდალი 1:2 ლოვ ჰამი
ტრიომსდალენი — ჰიონეფოსი
გადაიდო

### ამხანაგური მატჩი

ბოტსვანა 0:0 ზამბია
ახალგაზრდულები (U-21)
ჩრდ. ირლანდია 1:0 შოტლანდია
უელსი 1:0 კვიპროსი

### სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XXXIII ტური
ბანსკა ბისტრიცა 2:2 ჟილინა
ინტერი 2:0 ნიტრა
რუჟომბეროკი 3:0 არტმედია
ტრენჩინი 1:3 პუხოვი
ტრნავა 4:1 დუბნიცა

გიორგი კაკაბაძეს
და ეთო ახობაძეს
ვულოცავთ შეუღლებას.
ჯანმრთელობას,
ბედნიერებას და
ბევრი შვილის
ყოლას ვუსურვებთ.
*სარბიელელები*

# თემურ უგულავა ალბათ წავა

## თბილისის მერმისი ჯერაც გაურკვეველია


გურამ ცოცხიშვილის ფოტო

**ერთ დროს** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდი „თბილისი“ აწ დასრულებულ სეზონში უმაღლესი ლიგიდან გავარდნას ბეწვზე გადაურჩა. როგორი იქნება „თბილისი“ 2006-07 წლებში? ეს მაისის ბოლოს გადაწყდება.

„თბილისი“ უკვე ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა — ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე მოლდოვურ „შერიფს“ დაუბრუნდება, ლევან კვარაცხელია „ვიტ ჯორჯიას“, ასევე შუახაზელი მიხეილ ბესარაშვილი „ზესტაფონს“, ხოლო გამთამაშებელი გოჩა ხოჯავა რუსულ „კრილია სოვეტოვში“ გადავა.

გაურკვეველია, დარჩებიან თუ არა „თბილისში“ მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა და ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, ზაზა ზირაქიშვილი, არჩილ სახვაძე და ნიკა გუშარაშვილი რომ არიან. შესაძლოა, „თბილისიდან“ წავიდეს ახალგაზრდა ფორვარდი რევაზ ბარაბაძეც.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი აღარ იქნება თემურ უგულავა, რომელიც დიდად განაპირობებდა „თბილისის“ ფინანსურ კეთილდღეობას.

მოკლედ, „თბილისის“ სამომავლო პოლიტიკა ჯერ გაურკვეველია, გუნდი 25 მაისამდე შვებულებაშია და მერმისი მოგვიანებით ეცოდინება.

**ნიკა ჯორჯაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად დროის
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან ჯეო-მიქსი!

GEO MIX *123#
ჯეო მიქსი

აკრიფეთ
*123*9#YES
და მომენტალურად დაადგინეთ
მიმდინარე საფეხბურთო მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge





გადიო კიკილაშვილის ფოტოები

# 50 პროჟექტორი 1600 ლუქსისთვის

ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია სწრაფი ტემპით გრძელდება, მშენებლები დღე და ღამეს ასწორებენ, თუმცა ჯერ ზუსტი თარიღი ვერ სახელდება, როდის დასრულდება ჩვენი უმთავრესი სარბიელის რემონტი.

გაირკვა, რომ განახლებულ სტადიონის განათება 1 600 ლუქსი იქნება — განათების სისტემას 50 პროჟექტორი დაემატება, უწინდელი პროჟექტორები კი გაიწმინდება და დარეგულირდება. მანამდე განათება 1400 ლუქსამდე აღწევდა, ისიც მხოლოდ კარგად დარეგულირებული და გაწმენდილი პროჟექტორებით.

სტადიონს შეუნარჩუნდება ჩუქურთმა და იარუსებს შორის აივანი. რაც შეეხება ავტოსადგომს, მისი მოწყობა გეგმაშია, მაგრამ წლეულს ვერ მოესწრება.

# დინამოს კილიკია მალე დაიწყება

თბილისის „დინამო", რომელსაც ქართული გუნდებიდან პირველს მოუწევს საერთაშორისო სარბიელზე თამაში, ახლა შვებულებაშია და 25 მაისს შეიკრიბება.

ჯერჯერობით უცნობია, სად გაივლის ინტერტოტოსთვის სამზადისს „დინამო" და არც შესაძლო ახაწვეულთა ვინაობაა გარკვეული. თუმცა შევიტყვეთ, რომ ევროპულ მატჩებამდე თბილისელები სერიოზულად გაძლიერებას აპირებენ. ახალ ფეხბურთელთა დამატებისა და მოსამზადებელი შეკრების საკითხი გუნდის შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

„დინამო" უკვე დატოვეს ვლადიკავკაზის „ალანიადან" სამი თვის წინ ნათხოვარმა ლადო ბურდულმა, ვიტალი დარასელიამ და გიორგი შაშიაშვილმა.

ბურდულის მომავალი კლუბის ვინაობა ჯერ უცნობია, მას რამდენიმე წინადადება აქვს და მათგან საუკეთესოს არჩევს. ხოლო დარასელია და შაშიაშვილი ახალ გუნდებს უკვე შეუთანხმდნენ და ახლა „ალანიასგან" გათავისუფლების ფურცლებს ელიან. დარასელია, სავარაუდოდ, რუსულ „შინიკში" ითამაშებს, შაშიაშვილი კი უკრაინულ „ჩერნომორეცში", სადაც კახა მჟავანაძე და ილია კანდელაკი დახვდებიან. გიორგი ოდესიდან გუშინ დაბრუნდა და, როგორც თქვა, კლუბს ორწლიან კონტრაქტზე მოურიგდა.

შეგახსენებთ, ინტერტოტოს გათამაშების პირველ ეტაპზე „დინამოს" მეტოქე სომხური გუნდი, სავარაუდოდ, „კილიკია" იქნება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ტოპმიოლერმა ჯერ ეს თქვა

## როგორ შეიცვლება სია?

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, რომელიც ახლა სლოვაკეთშია 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, ფეხბურთის ფედერაციას ის 26-კაციანი სია მიაწოდა, ვისი ნახვაც მომავალ ამხანაგურ მატჩებში სურს. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები 27 მაისს გერმანულ ალტენკირხენში ახალ ზელანდიას გაეჯიბრება, 31 მაისს კი ავსტრიულ დორნბირნში — პარაგვაის.

*მეკარეები:* *ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი);*

*მცველები:* *ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), კახა მჟავანაძე (ჩერნომორეცი, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ლევან მაღრაძე (ქსანთი, საბერძნეთი), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია);*

*ნახევარმცველები:* *დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), გოგა გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), გოგიტა გოგუა (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), კახა ალადაშვილი (დინამო, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი);*

*თავდამსხმელები:* *შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა), ვასილ გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა).*

როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ეს შემადგენლობა ჯერ კიდევ სავარაუდოა და ხვალ-ზეგ რამდენიმე ცვლილებას უნდა ველოდოთ. ამ ფეხბურთელებიდან ზაალ ელიავას ხელი აქვს მოტეხილი, ლაშა სალუქვაძეს ორი დღის წინ ფეხის კუნთი დაეჭიმა, ლევან ცქიტიშვილი საოპერაციოა, გოგა გახოკიძე კი ახლახანს მომჯობინდა და სასურველ ფორმაში არ არის. კლაუს ტოპმიოლერმა გუნდური განწყობის ასამაღლებლად ეს ფეხბურთელები ამხანაგური მატჩებისთვის ეგებ მაინც იახლოს, მაგრამ ვერ ათამაშებს.

შესაძლოა ისიც, რომ ამათ ნაცვლად მწვრთნელმა სხვებს დაუძახოს.

მოკლედ, ავსტრიულ-გერმანული შემადგენლობა ამ კვირაში დაზუსტდება.

**ლუკა თალაკვაძე**



# განთესილი სიონი და 11 სავარაუდო მეტოქე

მართალია, რასაც ახლა გეტყვით, უეფას ოფიციალური ვერსია არაა, თუმცა თითქმის გადაწყვეტილია, რომ ყველაფერი სწორედ ასე იქნება — უეფას საკლუბო რეიტინგის გათვალისწინებით სხვადასხვა უცხოურმა გამოცემამ უკვე შეადგინა 2006-07 წლების ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სავარაუდო განთესვა.

პირველ ეტაპზე 22 გუნდი ითამაშებს, მათ შორის, საქართველოს ახალი ჩემპიონი ბოლნისის „სიონი". ამათგან თერთმეტი განთესილია და მათი მეტოქეები მეორე თერთმეტეულში უნდა ვეძიოთ. მოკლედ, განთესილი „სიონის" სავარაუდო მეტოქეები არიან: **„შახტიორი"** (სოლიგორსკი, ბელარუსი), **„კორკ სიტი"** (ირლანდია), **„ელბასანი"** (ალბანეთი), **„პიუნიკი"** (სომხეთი), **ტვმკ** (ესტონეთი), **„ლინფილდი"** (ჩრდილოეთ ირლანდია), **„ლანსანტფრეიდი"** (უელსი), **„დუდელანჟი"** (ლუქსემბურგი), აზერბაიჯანის ჩემპიონი, B-36 (ფარერები), **„აქტობე"** (ყაზახეთი).

ერთი სიტყვით, დაველოდოთ უეფას წილისყრას და ვნახოთ, ამათგან ვინ შეხვდება „სიონს"...

**კახა შალამბერიძე**

# კობიაშვილმა შალკეს ჩააცვა




გერმანული „შალკე" ბუნდესლიგის ახალ სეზონში ახალი ფორმით ითამაშებს.

რა თქმა უნდა, „შალკეს" საკლუბო ფერები არ შეუცვლია და ისევ ლურჯ-თეთრ და ვარდისფერ მაისურებში ითამაშებს. შეიცვალა ფორმის დიზაინი და ფაქტურა, ამ ამბავში კი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ახალი ფორმა საზოგადოებას „ხუმარათა" ქართველმა ლიდერმა ლევან კობიაშვილმა წარუდგინა. პრეზენტაციაზე „შალკეს" ფეხბურთელთაგან მხოლოდ ჩვენიანი იყო მიწვეული და ახალი სამოსიც სწორედ მას შეაფასებინეს: „ახალი ფორმა უფრო გრილი და ტანზე კარგად მომდგარია. მართლაც უმაღლესი ხარისხის მატერიისგანაა შეკერილი და ჩვენს ადრინდელ მაისურებთან განსხვავებაც აშკარაა. იმედი მაქვს, ახალი ფორმით, ახალ და უფრო შთამბეჭდავ წარმატებებს მივაღწევთ" — თქვა ლევან კობიაშვილმა.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# მუშტებით ჩხუბიდან სიტყვებით ჩხუბამდე

## ცხინვალი და გაგრა ერთმანეთს აქაც უტევენ

*მაყურებელთა მინდორზე შევარდნა და ხელჩართული ჩხუბი უცხო ხილი სულაც არაა ქართულ ფეხბურთში. აი, გუშინწინდელიც: გლდანში, „ამერის" სტადიონზე, „ცხინვალი" — „გაგრას" საპლეიოფო მატჩის დამატებით დროში ერთი ამბავი ატყდა — ცხინვალელთა მეკარე გიზო შენგელიამ გაგრელ მამუკაშვილს ხელი ჰკრა და გუნდი-გუნდზე ჩხუბს მაყურებლებმაც აუბეს მხარი.*

*ჩვენი ათვლით, ეს მოხდა 110-ე წუთზე, როცა „ცხინვალი" 2:1 იგებდა, თუმც თამაში აღარ გაგრძელდა. გადათამაშება ჩატარდება, ორივე გუნდი დისკვალიფიკაციას მიიღებს თუ დარჩენილ წუთებს ათამაშებენ, ამას სადისციპლინოტექნიკური კომიტეტი ამ დღეებში გაარკვევს. 110-ე წუთი კი ტყუილად არ გვიხსენებია — ჩვენ ორივე გუნდის წარმომადგენლებს ვთხოვეთ კომენტარი და ცხინვალელებმა, თამაშამდე შვიდწუთნახევარი იყო დარჩენილიო, „გაგრა" კი ამბობს, 12 წუთიო...*

**ზურაბ ნასუაშვილი, „ცხინვალის" უფროსი:** „ჩვენ დაჩაგრულად ვგრძნობთ თავს, მოგებული თამაში ჩაგვიშალეს. კი, ჩვენმა მეკარე შენგელიამ ხელი ჰკრა მეტოქეს, მაგრამ ფეხბურთში ეს ვის არ უნახავს?! ამის გამო მთელი გუნდის გამოქაჩვა და მაყურებლების მინდორზე გადმოხტომა შეიძლება?!

–გიზო შენგელიას ტელეფონი გამორთული აქვს და ისიც არ ვიცით, ახლა როგორაა. ფაქტია, საშინლად იყო ნაცემი. ბექა ჩიტაიას ხელი მოსტეხეს, კობა ხანიშვილი ბუცებით გალახეს. ფედერაციის წარმომადგენელბმა ვიდეოფირი უკვე გამოგვართვეს და იქ ნათლად ჩანს, რომ „გაგრას" გულშემატკივრები გადმოვიდნენ მინდორზე და მათ გააგრძელეს ჩვენი ფეხბურთელების ცემა.

–ვითხოვთ, „გაგრას" წაგება ჩაეთვალოს. ფეხბურთელები დასახიჩრებული გვყავს, შვიდი წუთი რომ დაამატონ, როგორ ჩავამთავროთ თამაში?!"

**გოდერძი ჩიხრაძე, „გაგრას" მთავარი მწვრთნელი:** „ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და მოურიდებლად გეტყვით, რომ მთავარი დამნაშავე მსაჯია — ვინც ფეხბურთში ერკვევა და ეს თამაში ნახა, მშვენივრად მიხვდება, როგორი ტექნიკური მსაჯობაც იყო.

...ეს პირველი შემთხვევა არაა. ახლა ჩვენ პლეი ოფში კი არა, უმაღლესში უნდა ვიყოთ გადასულები, მაგრამ ათასნაირი ჩაწყობა-მაქინაციების გამო ვერ გადავედით. თითო-ოროლა თამაში თუ იყო, სადაც მსაჯები ჩვენ წინააღმდეგ არ იყვნენ, დანარჩენი კი...

...„ცხინვალთან" კი ფეხბურთელებმა ველარ მოითმინეს. მთელი სეზონი იჩაგრები და ახლა მთავარ, გადასასვლელ მატჩშიც იგივე მეორდება, როგორია?! ჩვენ კი მოვითმენთ, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს, მათ ნერვები დაანწყდათ...

...დარჩენილი წუთების თამაშს აზრი არა აქვს. 12 წუთის სანახავად არც მაყურებელი მოვა და არც ეფექტი იქნება. სამართლიანობამ უნდა გამარჯვოს და ხელახლა გვათამაშონ. ოღონდ ნორმალური მსაჯობა უნდა იყოს და გინდ წავაგოთ, მეტოქეს გულით მივულოცავთ...

...ბექა ჩიტაიამ ჩვენი ქომაგების წინ მაისურა გაიხადა და ბილწი სიტყვებიც შესძახა მათ. ყველას გასაგონად იგინებოდნენ ცხინვალელები, მათმა მეკარემ უაზრო სიტუაციაში წამოიწყო ჩხუბი. კარგი იქნება, თუ ყველა დამნაშავე დაისჯება...

...საერთოდ, ფედერაციის ხელმძღვანელთა მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ნოდარ ახალკაცი გვერდში გვედგა და მისგან სითბოს მეტი არაფერი გვიგრძვნია, მაგრამ არის გარკვეული ხალხი, რომლებიც ზურგსუკან უკადრებელს კადრულობენ და გვაწამებენ...

**ილია ნანობაშვილი**

# ქვაჩახიას გულმა ბურთისა და თასის მიმართულება უგრძნო



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**„ამერის" 32 წლის მეკარე ზურაბ ქვაჩახია „ზესტაფონიდან" თბილისურ კლუბში რომ გადადიოდა, თქვა, სად არ მითამაშია, მაგრამ გული მიგრძნობს, ამ გუნდში წარმატებას მივაღწევო. ასეც მოხდა: თებერვალი, მარტი, აპრილი და... 13 მაისი — „ქვაჩის" წარმატებამაც არ დაახანა...**

— ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ლამაზი დღეა. წლებია, ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ ასეთი სიხარული არასდროს განმიცდია. თასის მოგებამ ლამის გადამრია, ახლაც არ გამნელებია ემოციები, მე ხომ სერიოზული ტიტული აქამდე არ მომეგო. ფეხბურთელის კარიერას კი ტიტულები ალამაზებს.

**— ბუნებრივია, ეს მატჩი კარიერაშიც უმნიშვნელოვანესი იქნება...**

— რა თქმა უნდა. ეროვნული ჩემპიონატის გარდა, უეფას თასზეც მითამაშია, მაგრამ ის თამაშები ამასთან ახლოსაც ვერ მოვა.

**— ფინალი ფინალია და მას სხვა მოტივაცია არც სჭირდება, თუმც შენ მაინც განსხვავებულ ვითარებაში იყავი: მეტოქე ის „ზესტაფონი" იყო, რომელმაც პირველი წრის მერე მოულოდნელად დაგითხოვა...**

— გულწრფელად ვიტყვი, მაგაზე ყურადღება არც გამიმახვილებია, ანუ ამით იმის თქმა მსურს, რომ ბოლმა არ ჩამრჩენია გულში, არ ვარ ეგეთი. უბრალოდ, ძალიან მინდოდა, გამემარჯვა. თასის ფინალში შარშანაც ვიყავი და სოხუმის „ცხუმში" თამაშის დროსაც, მაგრამ ორივეჯერ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. ახლა კი ვიცოდი, რომ თამაში აუცილებლად მომიწევდა და ჩემი პირველი ფინალისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. აი, ეს იყო ჩემი მოტივაცია.

**— ძირითადი დრო ამოიწურა, მსაჯის მიერ დამატებული წუთებიც სადაცაა, გაილევა, „ამერი" 2:1-ს იგებს და ასე ნანატრი თასიც ახლოსაა, მაგრამ შალვა ღონღაძის თავურს ვერაფერს უხერხებ...**

— ეს იყო შოკი. სიტყვებით ვერ აღვწერ, რა დამემართა, გინდ მე, გინდ თანაგუნდელებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ძალები მაინც მოვიკრიბეთ. მონდომება, ჟინი, სული და გული ჩავაქსოვეთ, რათა თასი მოგვეგო. ძალიან მაგარია, რომ მოვიგეთ.

**— ნაფინალევს თქვი, პენალტებისას თავდაჯერებული ვიყავიო. დასტურად ხუთივე თერთმეტმეტრიანის მიმართულების გამოცნობაც გამოდგება...**

— როგორ გითხრა, ცხადია, გვინდოდა, თამაში ძირითად დროშივე მოგვეგო, მაგრამ პენალტების სერიისთვისაც მზად ვიყავით. პენალტების სერია ლატარიაა, ან გაგიმართლებს, ან არა. იმედი მქონდა, რომ გამიმართლებდა.

**— გამართლებაცაა და გამართლებაც. ქვაჩახია გმირია?**

— ასე ვერ ვიტყვი, გმირი „ამერია". ეს გამარჯვება ჩვენთვის, ახალშექმნილი გუნდისთვის, ძალიან ფასეულია. პირველი წელია, რაც უმაღლეს ლიგაში ვართ და, პირველივე წელს ასეთ სერიოზულ ტიტულს რომ მოიგებ, ეს წინგადადგმული ნაბიჯია. „ამერის" უზომოდ მადლობელი ვარ, ამ გუნდში თამაშის საშუალება რომ მომეცა და, რაც ყველაზე მთავარია, „ამერის" შემადგენლობაში გავხდი საქართველოს თასის მფლობელი, პირველი ტიტული მოვიგე. მადა ჭამაში მოდისო და, ახლა ჩემპიონის ოქროს მედალიც მინდა.

**— მოდი, ბოლო პენალტი გაიხსენე: სანამ ჭანტურია დაარტყამდა, არ გიფიქრია იმაზე, რომ, თუ ახლა ეს ავილე, მორჩა, თასი უკვე ჩვენიაო?**

— სიმართლე გითხრა, არა. იმ დროს ეს აზრადაც არ მომსვლია. უფრო იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ სად დაარტყამს, როგორ... ჭანტურიას დარტყმული პენალტი მანამდე არასდროს მენახა.

**— და მაინც, საინტერესოა, კარის შუაში რატომ გაჩერდი?**

— წინა ოთხი პენალტისას კუთხე წინასწარ არ ამირჩევია და ახლაც არ ვიცი, ჭანტურიას დარტყმულს შუაში რატომ დაველოდე. რაღაც შინაგანმა ხმამ მიკარნახა, არ გაინძრე და შენ ამ პენალტს აიღებ. მოკლედ, ალბათ, იქ უნდა ვმდგარიყავი...

**— დეკანოსიძემ რომ პირველი პენალტი ააცილა, ალბათ, ამანაც იმოქმედა დოპინგივით შენზე...**

— რა თქმა უნდა, ამ დროს ძნელია, ფსიქოლოგიურად ეგებ დაითრგუნო კიდეც, მაგრამ წინ ხომ კიდევ ოთხი დარტყმა იყო და მჯეროდა, შანსი ჩვენც გვექნებოდა.

**— ბოლოს ოჯახზეც ვთქვათ, შენს ყველაზე დიდ გულშემატკივარზე...**

— ცოლ-შვილი და მეგობრები ტრიბუნაზე იყვნენ, ხოლო ვინც თამაშზე წამოსვლა ვერ მოახერხა, ტელევიზორებს იყვნენ მიჯაჭვულნი. ისედაც უზომოდ გახარებული ვიყავი და ჩემმა პატარა ლიზიმ უფრო გამახარა: ხელში რომ ავიყვანე მითხრა, მამა, ეს მედალი ხომ ჩემიაო...

**გიორგი ვაშაძიძე**



FINALE 2006 PARIS
50 YEARS OF CHAMPIONS

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ბარსელონა (ესპანეთი) V

## დღეს. 22.45. პარიზი. „სტად დე ფრანსი“

# გამოუშვით ეგ თქვენი რონი!



**ჩემპიონთა ლიგის** ფინალური მატჩის ბილეთი შავ ბაზარზე ორი ათას ევრომდე ღირს... პარიზი კატალონიურმა არმადამ დაიპყრო. გუშინ ბარსელონიდან მანქანების და ავტობუსების ზღვა ძირითადად ერთი მიმართულებით მიედინებოდა — საფრანგეთის დედაქალაქისკენ. პარიზში ათასამდე ავტომობილი და 112 ავტობუსი ჩავიდა კატალონიელთა მხრიდან. ეიფელის სიახლოვეს ბარსელონას უზარმაზარი დროშა გაშალეს, სამხრეთელები „არსენალის“ ფანებს რიცხვით სჭარბობენ და ფრანგთა დედაქალაქიც „ბარსელონას“ ფერებითაა გადაპენტილი...

„მთელი მსოფლიო ახლა რონალდინიოს ჯადოსნურ ღიმილზე ლაპარაკობს. მე კი ვიცი, ეს ღიმილი გარეგნულია, მის უკან სასტიკი მხეცი იმალება, რომელიც პორტუ-ალეგრეს ღარიბთა ჯურღმულებში გაიზარდა... ფეხბურთს ყველაზე კარგად ქუჩაში სწავლობენ. რონალდინიოს და უეინ რუნის შეხედეთ... მეც ქუჩაში ვისწავლე ბურთაობა. ასე რომ, მხეცობაში არც ერთ მათგანს არ ჩამოვრჩები“ — უთხრა გუშინ ტიერი ანრიმ მედიას...

ფრანკ რაიკარდმა მთელი თავისი მებრძოლი გვარდია ჩაიყვანა პარიზში. არავინ ტრამვირებული, არავინ დაჯარიმებული. ჰო, ზოგიერთი ესპანური გაზეთი წერს, ლეო მესის ტრავმა ბოლომდე არ მოურჩენიაო, თუმცა ფაქტი ჯიუტია — მესი იმ 22 მეომარს შორისაა, „სენ დენიზე“ „მეთოფეებს“ რომ შეერკინება. ლეო უფრო იქნება, ვიდრე არ იქნება...

„რას გავიმეტებდი, ჩემპიონთა თასი ჩემი რომ გახდეს? ალბათ, შვილებს არა. დანარჩენზე ბევრი ყოყმანი არ დამჭირდებოდა“ — თქვა სამუელ ეტოომ „მარკასთან“ ინტერვიუში ფინალის წინა დღეს.

„ბარსელონა“ სუპერფავორიტია, ჩვენ კი მოკრძალებული კანდიდატები ვართ. თუმცა „არსენალმა“ თუ თავისი თამაში ითამაშა, „სენ დენიზე“ ხალხი სუპერგუნდს ნახავს... საამსეზონო ლიგა რომ დაიწყო, ვისაც „არსენალის“ ფინალამდე მიღწევის სჯეროდა, გიჟებად თვლიდნენ... ბევრი ისეთი ურწმუნო თომა მყავს მეგობრად, თასის მოგება მარტო მათი გაშტერებული სახეების დანახვისთვის ღირს...“ — განაცხადა არსენ ვენგერმა.

## ციფრული ხარისხი

*„ბარსელონა“ მეხუთედ ითამაშებს ჩემპიონთა თასის ფინალში, „არსენალი“ კი მთავარი ევროტურნირის ფინალში პირველადაა. „ბარსელონამ“ 1961-ში 2:3 წააგო „ბენფიკასთან“, 1986-ში პენალტებით დამარცხდა „სტიაუასთან“, 1992-ში „სამპდორიას“ 1:0 მოუგო, ხოლო, 1994 წელს „მილანთან“ დათმო 0:4*

*ჩემპიონთა ლიგის 1999-2000 წლების სეზონში „ბარსელონა“ და „არსენალი“ ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ. „კამპ ნოუზე“ მატჩი 1:1 დასრულდა, ხოლო სტუმრად ბარსელებმა 4:2 მოიგეს.*

*„ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგაში ბოლოს შარშან, 8 მარტს „ჩელსისთან“ წააგო 2:4. საამსეზონო ლიგის 12 შეხვედრაში დაუმარცხებელია. ბოლო ოთხ თამაშში კი გოლი არ გაუშვია.*

*ჩემპიონთა ლიგაში ინგლისურ გუნდებთან „ბარსას“ 20-ჯერ უთამაშია. 10-ჯერ მოიგო, შვიდი ფრედ დაასრულა და სამი წააგო.*

*„ბარსელონა“ მეთხუთმეტედაა რაგინდარა ევროტურნირის ფინალში და ერთით ჩამორჩება „რეალს“.*

*„არსენალს“ საამსეზონო ლიგაში ზედიზედ ათი მატჩია გოლი არ გაუშვია და ამით რეკორდი დაამყარა. ჩემპიონთა ლიგაში ესპანურ კლუბებს 16-ჯერ გადაეყარა — აქედან ექვსი მოიგო, ექვსი ფრედ დაასრულა და ოთხი წააგო. ფინალამდე ორი ესპანური გუნდი გაიარა — მადრიდის „რეალი“ და „ვილიარეალი“.*

*„არსენალი“ დაუმარცხებელია ჩემპიონთა ლიგის ბოლო 13 მატჩში. ამ მხრივ რეკორდი ეკუთვნის „ბაიერნს“ და „აიაქსს“ (19-19), მერე „მანჩესტერია (16), შემდეგ „ლივერპული“ და „ლიონი“, (14-14)*

*„არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ბოლო მარცხი მიუნხენის „ბაიერნთან“, 2005 წლის 22 თებერვალს იწვნია. ბოლო გოლი კი შარშან, 27 სექტემბერს „აიაქსისგან“ გაუშვა. „არსენალი“ დღეს თუ მოიგებს, მეხუთე კლუბი შეიქნება რომელსაც ყველა ევროპული თასი მოუგია. სამივე თასი კი აქვთ: „ბარსელონას“, „აიაქსს“, „იუვენტუსს“ და „ბაიერნს“.*

*ტიერი ანრი თუ გაიტანს, მისი 50-ე გოლი იქნება ევროტურნირებზე. 50 კი გაუტანიათ გერდ მიულერს, ანდრეი შევჩენკოს, იუპ ჰაინკესს, რაულს და ეუსებიოს.*

*ესპანურ, იტალიურ და ინგლისურ კლუბებს აქამდე 10-10 ჯერ მოუგიათ ჩემპიონთა თასი. დღეს ესპანური ან ინგლისური კლუბი მეთერთმეტეს 'წაიღებს.*

*სამი ევროთასიდან ყველაზე მეტი ინგლისელებს მოუგიათ (28) და ერთით უსწრებენ ესპანურ და იტალიურ კლუბებს.*

*ჩემპიონთა თასის ფინალს პარიზი მეხუთედ უმასპინძლებს. 1956 წელს „რეალმა“ „სტად რეიმსს“ 4:3 მოუგო, 1975-ში „ბაიერნმა“ „ლიდსი“ დაამარცხა 2:0, 1981 წელს „ლივერპულმა“ სძლია „რეალს“ 1:0, ხოლო 2000-ს ფინალში „რეალმა“ „ვალენსიას“ მოუგო 3:0.*

## სავარაუდო შემადგენლობა

1. ვიქტორ ვალდესი (24 წლის) — ვალდესმა კარი ოთხი წლის წინ, „ვილიარეალში“ რეინას გადასვლის შემდეგ ჩაიბარა და ძირითადში ადგილი დაიმკვიდრა. „ბარსელონას“ სკოლის გაზრდილია.

2. ჟულიანო ბელეტი (29) — ბრაზილიელი მარჯვენა მცველი ორი წლის წინ შეიძინეს „ვილიარეალიდან“. ბელეტი 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის შემადგენლობაში იყო, მაგრამ პარეირას მისვლის შემდეგ ნაკრებში ადგილი დაკარგა.

5. კარლეს პუიოლი (26) — დიდებული ცენტრალური მცველი, „ბარსას“ სული და გული.

4. რაფაელ მარკესი (27) — ბრწყინვალე მექსიკელი, რომელსაც დაცვის და ნახევარდაცვის ცენტრში შეუძლია თამაში, შეტევაშიც კარგად ერთვება და გოლებიც გააქვს.

12. ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (31) — ყოფილი არსენალელი, მარცხენა ფლანგზე თამაშობს და უძლიერესი ცაციის პატრონია.

15. ედმილსონი (29) — ელეგანტური ბრაზილიელი ნახევარმცველი, რომელიც „ბარსელონამ“ „ლიონიდან“ წაიყვანა. პირველ სეზონში ტრავმებმა გაანამა, ამჟამად კი საუცხოო ფორმაშია.

17. მარკ ვან ბომელი (29) — ჰოლანდიელი ნახევარმცველი შარშან გადავიდა „ბარსაში“ პსვ-დან.

20. დეკუ (29) — გაპორტუგალიელებული ბრაზილიელი ერთადერთი ფეხბურთელია „ბარსელონაში“, ვისაც ჩემპიონთა თასი მოუგია. თავის საქმეს მშვიდად და ფრიადზე ასრულებს.

30. მესი (18) — ფანტასტიკური არგენტინელი, რომელმაც „ჩელსისთან“ პირველ მერვედფინალურ მატჩში გაიბრწყინა, მაგრამ ტრავმის გამო, მას შემდეგ, თითქმის ორი თვე გაუცდა.

9. სამუელ ეტოო (25) — დაუღლელი კამერუნელი მეგოლე.

10. რონალდინიო (26).

## გზა ფინალამდე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჯგუფური ეტაპი** | | | | | | |
| 14.09.2005 | ვერდერი (გერმანია) — ბარსელონა | | | | | 0:2 |
| 27.09.2005 | ბარსელონა — უდინეზე (იტალია) | | | | | 4:1 |
| 18.10.2005 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბარსელონა | | | | | 0:0 |
| 02.11.2005 | ბარსელონა — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | | | | | 5:0 |
| 22.11.2005 | ბარსელონა — ვერდერი (გერმანია) | | | | | 3:1 |
| 07.12.2005 | უდინეზე (იტალია) — ბარსელონა | | | | | 0:2 |
| **საბოლოო ცხრილი** | | | | | | |
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 16:2 | 16 |
| ვერდერი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| უდინეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | 7 |
| პანათინაიკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:16 | 4 |
| **მერვედფინალი** | | | | | | |
| 22.02.2006 | ჩელსი (ინგლისი) — ბარსელონა | | | | | 1:2 |
| 07.03.2006 | ბარსელონა — ჩელსი (ინგლისი) | | | | | 1:1 |
| **მეოთხედფინალი** | | | | | | |
| 28.03.2006 | ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა | | | | | 0:0 |
| 05.04.2006 | ბარსელონა — ბენფიკა (პორტუგალია) | | | | | 2:0 |
| **ნახევარფინალი** | | | | | | |
| 18.04.2006 | მილანი (იტალია) — ბარსელონა | | | | | 0:1 |
| 26.04.2006 | ბარსელონა — მილანი (იტალია) | | | | | 0:0 |

FINALE 2006 PARIS
50 YEARS OF CHAMPIONS

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# S არსენალი (ინგლისი)

## მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

# ებუს ემმასიც არ ეშინია

სასტუმრო „კრილონი“ პარიზის გულში, თანხმობის მოედანზე, მეთვრამეტე საუკუნეში ლუი XV-მ ააგებინა. რევოლუციის პერიოდში თანხმობის მოედანზე ფრანგთა საბრალო მეფეს, ლუი XV-ის შვილს გილიოტინაზე წააგდებინეს თავი... „კრილონში“ სხვადასხვა დროს სახელგანთქმული ხალხი სტუმრობდა — იმპერატორი ჰიროჰიტო, ჟაკლინ ონასისი, ჩარლი ჩაპლინი, ორსონ უელსი, ელიზაბეტ ტეილორი, არნოლდ შვარცენეგერი, მადონა და კიდევ ბევრი სხვა...

ახლა „კრილონში“ ლონდონის „არსენალია“ დაბანაკებული.

„ფავორიტებს გვეძახიან? ეგ სრული სიბრიყვეა. ფინალში ფავორიტები არ არსებობენ. ძალიან რთული ბრძოლა გველის“ — „ბარსას“ მწვრთნელი რაიკარდი გაურბოდა „ელ მუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტს, როცა ამ უკანასკნელმა ჰკითხა, ფინალში „არსენალს“ დიდი ანგარიშით მოუგებთ, თუ არაო...

„მე მიყვარს პარიზი. მგონი, მასაც უნდა ვუყვარდე. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგა ჯერ არ მომიგია და თასის მოპოვებას სწორედ ამ ქალაქში ვაპირებ“ — განუცხადა რონალდინიომ „ეკიპის“ კორესპონდენტს.

„ვიცი, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, რონალდინიოს წინააღმდეგ უნდა ვითამაშო. ეს არ მაშფოთებს, ფინალში ვერც რონალდინიო შემაშინებს და ვერც სატანა“ — თქვა ემანუელ ებუმ მედიასთან. ლორენის ტრავმის გამო არსენ ვენგერმა რონალდინიოს დაჭერა ახალგაზრდა კოტდივუარელ ებუს მიანდო...

პარიზში ჩასულ „არსენალის“ ფანთა უმრავლესობას ბილეთები არ აქვს. ანგლისელები „სენ დენის“ ან იერიშთ აიღებენ, ან... პოლიცია დაუმტვრევთ ცხვირ-პირს. ქალაქში საგანგებო ვითარებაა და წესრიგის დამცველნიც მთვრალ ფანებთან ომისთვის მზად არიან.

ესპანეთის მეფე დონ ხუან კარლოს პირველი კი, წესით, მთვრალი არ უნდა იყოს. მონარქი საპატიო ლოჟაში იქნება და კატალონიელებს უქომაგებს. დონ ხუან კარლოსი „რეალის“ ინჩასია, თუმცა ეს, ფინალში „ბარსელონას“ გულშემატკივრობაში ხელს არ შეუშლის... „კატალონია ესპანეთია!“ — ეწერა „მარკას“ თავფურცელზე გუშინ.

იოჰან კრუიფი: „ბარსელონა“ ჯილდოს ნამდვილად იმსახურებს, თუმცა, „არსენალმაც“ არანაკლები იბრძოლა ფინალში მოსახვედრად“...

**ლადო ხომერიკი**



## გზა ფინალამდე

**ჯგუფური ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| 14.09.2005 | არსენალი — თუნი (შვეიცარია) | 2:1 |
| 27.09.2005 | აიაქსი (ჰოლანდია) — არსენალი | 1:2 |
| 18.10.2005 | სპარტა (ჩეხეთი) — არსენალი | 0:2 |
| 02.11.2005 | არსენალი — სპარტა (ჩეხეთი) | 3:0 |
| 22.11.2005 | თუნი (შვეიცარია) — არსენალი | 0:1 |
| 07.12.2005 | არსენალი — აიაქსი (ჰოლანდია) | 0:0 |

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:2 | 16 |
| აიაქსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| თუნი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| სპარტა | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |

**მერვედფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 21.02.2006 | რეალი (ესპანეთი) — არსენალი | 0:1 |
| 08.03.2006 | არსენალი — რეალი (ესპანეთი) | 0:0 |

**მეოთხედფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 28.03.2006 | არსენალი — იუვენტუსი (იტალია) | 2:0 |
| 05.04.2006 | იუვენტუსი (იტალია) — არსენალი | 0:0 |

**ნახევარფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 19.04.2006 | არსენალი — ვილიარეალი (ესპანეთი) | 1:0 |
| 25.04.2006 | ვილიარეალი (ესპანეთი) — არსენალი | 0:0 |

## მსაჯი



*ტერიე ჰაუგე პირველი ნორვეგიელი მსაჯია ვისაც ჩემპიონთა ლიგის ფინალი ანდეს. გახსოვთ, ალბათ, რომ სწორედ ივი იყო მთავარი არბიტრი „ჩელსი“ — „ბარსელონას“ მერვედფინალურ მატჩში და ასიერ დელ ორნო გააძევა ლეო მესისთან უხეშობისთვის, ის თამაში კი „ბარსამ“ 2:1 მოიგო.*

*ტერიე ჰაუგე 1965 წლის 5 ოქტომბერს ბერგენში დაიბადა და „სტვენა“ 17-ისამ დაიწყო. 25 წლისას უკვე ნორვეგიის უმაღლესი ლიგის მატჩებს ანდობდნენ, ხოლო 1993-ში ფიფას არბიტრი გახდა.*

*ჰაუგეს პირველი დიდი ტურნირი იყო ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი, რომელიც 1994 წელს ესპანეთში გაიმართა. 1997-ში პორტუგალიაში მერიდიანის თას ზეც იმსაჯა და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატ ზეც. ევრო-2000-ზე სათადარიგო არბიტრი გახლდათ, ხოლო ევრო-2004-ზე უკვე „ძირითად შემადგენლობაში“ მოხვდა. ევროტურნირებში 2001 წლიდანაა და 2004-ში სუპერთასზე „პორტუსა“ და „ვალენსიას“ მატჩს გაუძღვა.*

*2005-ში ჰაუგე უკრაინის თასის ფინალზე მიიწვიეს და იმავე წელს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში იმსაჯა.*

*ტერიე ჰაუგეს ერთხელ უმსაჯია „არსენალის“ თამაში. 2001-ის ნოემბერში „მეთოფეებმა“ ლა კორუნიაში „დეპორტივოსთან“ 0:2 წააგეს. რაც შეეხება „ბარსას“, ნორვეგიელი არბიტრი ამ გუნდს „კარგად იცნობს“ — ექვსჯერ იყო „ბარსელონას“ მატჩზე. კატალონიელებმა ექვსიდან ოთხში იმარჯვეს, ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დაასრულეს.*

## სავარაუდო შემადგენლობა

1. იენს ლემანი (36 წლის) — გერმანიის პირველი მეკარე და „ვილიარეალთან“ ნახევარფინალური მატჩის გმირი.

27. ემანუელ ებუ (21) — ლორენის ტრავმის შემდეგ ერგო ადგილი ძირითად შემადგენლობაში და საუცხოოდ ათამაშდა.

28. კოლო ტურე (25) — მისი ერთადერთი გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი „ვილიარეალთან“ ორრაუნდიან ნახევარფინალში.

3. ეშლი კოული (25) — მარცხენა მცველი. სწრაფია და შეტევებში ჩართვა კარგად ეხერხება. ექვსი თვე ტრავმების გამო გაუცდა და პრემიერლიგის ბოლო ტურშილა ითამაშა.

23. სოლ კემპბელი (31) — ღონიერი, ვეება ცენტრალური მცველი. კოულივით ტრავმები აწუხებდა, მაგრამ ამჟამად ფორმაშია.

8. ფრედერიკ ლიუნგბერგი (29) — მერვე სეზონს ატარებს შვედი „არსენალში“ და კლუბის ფანთა ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია, მაგრამ წლეულს ვერ ბრწყინავს.

15. ფრანსესკ ფაბრეგასი (19) — უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელიც „არსენალმა“ 2003-ში წაიყვანა „ბარსელონადან“. ვენგერის ხელში ჩამოყალიბდა გამთამაშებლად და ვიეირა სრულფასოვნად შეცვალა. მოედანს ხედავს საუცხოოდ და ასეთივე პასები იცის.

19. ჟილბერტო სილვა (29) — მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონი ბრაზილიელი. საყრდენი ნახევარმცველი. ფუტკარივით მუშა. ფაბრეგასს ზურგს უმაგრებს.

13. ალექსანდრ გლები (25) — ბელორუსი ფეხბურთელი შარშან ზაფხულს გადავიდა „შტუტგარტიდან“ „არსენალში“. თავიდან გაუჭირდა, თუმცა მეორე წრეში, ბრძოლისუნარიანობით დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებს.

9. ხოსე ანტონიო რეიესი (22) — „არსენალის“ უძვირფასესი ფეხბურთელი. მის სანაცვლოდ დაახლოებით 36 მილიონი დოლარი გადაუხადეს „სევილიას“ 2004-ში, მაგრამ პოტენციალი ჯერ ბოლომდე ვერ გამოავლინა.

14. ტიერი ანრი (28).



# მსოფლიოს თასი
# გერმანია 2006
9 ივნისი – 9 ივლისი

DEUTSCHLAND 2006

## ევოლუცია



ხავიერ ძანეტი

„ინტერის“ სამი ფეხბურთელი — ვერონი, სამუელი და ხავიერ ძანეტი — ხოსე პეკერმანმა 23-კაციან განაცხადში არ შეიყვანა. სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წავა „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველი ლიონელ სკალონი. შემადგენლობაში მაინც მოხვდა სამი ინტერელი: ნიკოლა ბურდისო, ესტებან კამბიასო და ფორვარდი ხულიო კრუზი, რომელიც „ინტერში“ სათადარიგო ფეხბურთელია და ამის კვალობაზე საკმაო გოლები გაიტანა.

„ესაა პერმანენტული ევოლუცია ფეხბურთში. შარშან მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის მომგებ არგენტინის ნაკრებში ბევრი კარგი ფეხბურთელი იყო და ახლა მათი დროა“ — თქვა პეკერმანმა და არ ინება იმის ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ არიან ნაკრებში ძანეტი, სამუელი და ვერონი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიონელ მესის ბოლო ორი თვე ტრავმის გამო გაუცდა, ბარსელონელი ყმაწვილკაცი რჩეულ 23-ში მოხვდა.

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| რობერტო აბონდანსიერი | ბოკა ხუნიორსი |
| ლეონარდო ფრანკო | ატლეტიკო, ესპანეთი |
| ოსკარ უსტარი | ინდეპენდიენტე |
| **მცველები** | |
| ნიკოლას ბურდისო | ინტერი, იტალია |
| გაბრიელ მილიტო | სარაგოსა, ესპანეთი |
| ხუან პაბლო სორინი | ვილიარეალი, ესპანეთი |
| ფაბრიციო კოლოჩინი | დეპორტივო, ესპანეთი |
| ლეონარდო კუფრე | რომა, იტალია |
| რობერტო აიალა | ვალენსია, ესპანეთი |
| გაბრიელ ჰაინცე | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| **ნახევარმცველები** | |
| მაქსიმილიანო როდრიგესი | ატლეტიკო, ესპანეთი |
| ესტებან კამბიასო | ინტერი, იტალია |
| ხუან რომან რიკელმე | ვილიარეალი, ესპანეთი |
| ლიონელ სკალონი | ვესტ ჰემ იუნაიტედი, ინგლისი |
| ლუის გონსალესი | პორტუ, პორტუგალია |
| ხავიერ მასკერანო | კორინთიანსი, ბრაზილია |
| პაბლო აიმარი | ვალენსია, ესპანეთი |
| ლიონელ მესი | ბარსელონა, ესპანეთი |
| **თავდამსხმელები** | |
| ერნან კრესპო | ჩელსი, ინგლისი |
| კარლოს ტევესი | კორინთიანსი, ბრაზილია |
| ხავიერ სავიოლა | სევილია, ესპანეთი |
| ხულიო რიკარდო კრუზი | ინტერი, იტალია |
| როდრიგო პალასიო | ბოკა ხუნიორსი |

## საუდეთი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| მოჰამად ალ დეაია | ალ აჰლი |
| მაბრუქ ზაიედი | ალ იტიჰადი |
| მოჰამად ხუჯა | ალ შაბაბი |
| **მცველები** | |
| აჰმად ალ დუხი | ალ იტიჰადი |
| რეჯა ტაკარი | ალ იტიჰადი |
| ჰამად ალ მონტაშარი | ალ იტიჰადი |
| აჰმად ალ ბაჰრი | ალ იტიფაკი |
| მოჰამად მასაადი | ალ აჰლი |
| ნაიეფ ალ კაჯი | ალ აჰლი |
| ჰუსეინ აბდულ განი | ალ აჰლი |
| აბდულ აზიზ ალ ხათრანი | ალ ჰილალი |
| **ნახევარმცველები** | |
| საუდ კარირი | ალ იტიჰადი |
| მოჰამად ნური | ალ იტიჰადი |
| მოჰამად ამინი | ალ იტიჰადი |
| ხალედ აზიზი | ალ ჰილალი |
| ომარ ალ ჯამდი | ალ ჰილალი |
| ნავაფ ალ ტემიატი | ალ ჰილალი |
| მოჰამა ალ შალუბი | ალ ჰილალი |
| **თავდამსხმელები** | |
| სამი ალ ჯაბერი | ალ ჰილალი |
| იასერ ალ ქატანი | ალ ჰილალი |
| მოჰამად ალ ანბარი | ალ ჰილალი |
| საად ალ ჰართი | ალ ნასრი |
| მალეკ მაათი | ალ აჰლი |

## უკრაინა



ანდრეი შევჩენკო

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ალექსანდრ შოვკოვსკი | დინამო |
| ბოგდან შუსტი | შახტარი |
| ანდრეი პიატოვი | ვორსკლა |
| **მცველები** | |
| ანდრეი ნესმაჩნი | დინამო |
| სერგეი ფიოდოროვი | დინამო |
| ვლადიმირ იეზერსკი | დნიპრო |
| ანდრეი რუსოლი | დნიპრო |
| დმიტრი ჩიგრინსკი | შახტარი |
| ვლადისლავ ვაშჩუკი | დინამო |
| ვიაჩესლავ სვიდერსკი | არსენალი |
| **ნახევარმცველები** | |
| ანატოლი ტიმოშჩუკი | შახტარი |
| ოლეგ შელაევი | დნიპრო |
| ოლეგ გუსევი | დინამო |
| ანდრეი გუსინი | კრილია სოვეტოვი, რუსეთი |
| სერგეი ნაზარენკო | დნიპრო |
| მაქსიმ კალინიჩენკო | სპარტაკი, რუსეთი |
| რუსლან როტანი | დინამო |
| **თავდამსხმელები** | |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი, იტალია |
| ანდრეი ვორონინი | ლევერკუზენი, გერმანია |
| სერგეი რებროვი | დინამო |
| ანდრეი ვორობეი | შახტარი |
| ალექსეი ბელიკი | შახტარი |
| არტიომ მილევსკი | დინამო |

## დახიე პასპორტი!

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ხუსტო ვილარი | ნიუელს ოლდ ბოისი, არგენტინა |
| ალდო ბოდაბილა | ლიბერტადი |
| დერლის გომესი | სპორტივო ლუკენო |
| **მცველები** | |
| დენის კანისა | კრუზ ასული, მექსიკა |
| კარლოს გამარა | პალმეირასი, ბრაზილია |
| ხულიო სეზარ კასერესი | რივერ პლეიტი, არგენტინა |
| დელიო ტოლედო | სარაგოსა, ესპანეთი |
| პაულუ და სილვა | ტოლუკა, მექსიკა |
| ხულიო მანსური | სანტოსი, ბრაზილია |
| ხორხე ნუნიესი | ესტუდიანტესი, არგენტინა |
| **ნახევარმცველები** | |
| ედგარ ბარეტო | ნაიმეგენი, ჰოლანდია |
| რობერტო აკუნია | დეპორტივო, ესპანეთი |
| კარლოს პარედესი | რეჯინა, იტალია |
| ხულიო დოს სანტოსი | ბაიერნი, გერმანია |
| კრისტიან რივეროსი | ლიბერტადი |
| კარლოს ბონეტი | ლიბერტადი |
| ხოსე მონტიელი | ოლიმპია |
| დიეგო გავილანი | ნიუელს ოლდ ბოისი, არგენტინა |
| **თავდამსხმელები** | |
| როკე სანტა კრუზი | ბაიერნი, გერმანია |
| ნელსონ ვალდესი | ვერდერი, გერმანია |
| ხოსე კარდოზო | სან ლორენსო, არგენტინა |
| სალვადორ კაბანასი | ხაგუარესი, მექსიკა |
| ნელსონ კუევასი | პაჩუკა, მექსიკა |

**18 წლის** ნიჭიერი ნახევარმცველი ხოსე მონტიელი პარაგვაის ნაკრების მწვრთნელმა ანიბალ რუისმა 23 რჩეულში შეიყვანა. „მონტიელი ჩვენი ფეხბურთის მომავალია — თქვა მწვრთნელმა — შემადგენლობის ნახევარზე მეტი ახალგაზრდაა და ისინი მსოფლიოს კიდევ სამ ჩემპიონატზე ითამაშებენ“.

პარაგვაული „ოლიმპიას“ ფეხბურთელმა მონტიელმა 17-წლამდელთა ნაკრებში შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, მისი დებიუტი კი ეროვნულ ნაკრებში, ვენესუელასთან მატჩში შარშანვე შედგა.

ახალგაზრდებიდან გუნდში არიან მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ხულიო დოს სანტოსი და ფორვარდი როკე სანტა კრუზი, ასევე ნელსონ ვალდესი, ედგარ ბარეტო და კრისტიან რივეროსი.

ვეტერანებიდან კი რუისმა 33 წლის რობერტო აკუნიას და 35 წლის ხოსე კარდოზოს უხმო. აკუნიამ სულ რამდენიმე მატჩი ითამაშა ლა კორუნიის „დეპორტივოში“, ხოლო კარდოზო „სან ლორენსოდან“ გაუშვეს. „მე ფეხბურთელების პასპორტებში არ ვიყურები. მთავარია, მათ მოედანზე შეასრულონ ის, რასაც დავავალებ“ — განაცხადა რუისმა

# მსოფლიოს თასი
# გერმანია 2006
9 ივნისი – 9 ივლისი

## ტუნისი


როჟე ლემერი

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| ალი ბუმნიჟელი | კლუბ აფრიკანი |
| ჰამდი კასრაუი | ესპერანსი |
| ადელ ნეფზი | მონასტირი |

**მცველები**

| | |
|---|---|
| კარიმ ჰაგუი | სტრასბური, საფრანგეთი |
| რადი ჯაიდი | ბოლტონი, ინგლისი |
| ჰატემ ტრაბელსი | აიაქსი, ჰოლანდია |
| დავიდ ჟემალი | ბორდო, საფრანგეთი |
| ალადინ იაია | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |
| კარიმ საიდი | ლეჩე, იტალია |
| ანის აიარი | სამსუნსფორი, თურქეთი |
| მეჰდი მერიაჰი | ეტოილ საჰელი |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| რიად ბუაზიზი | ქაისერისფორი, თურქეთი |
| ადელ ჩედლი | ნიურნბერგი, გერმანია |
| კეის გოდბენე | სამსუნსფორი, თურქეთი |
| სოფიენ მელიტი | გაზიანთეფსფორი, თურქეთი |
| ჟავერ მნარი | ნიურნბერგი, გერმანია |
| ჰამედ ნამუში | რეინჯერსი, შოტლანდია |
| მეჰდი ნაფტი | ბირმინგემ სიტი, ინგლისი |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| სილვა დუშ სანტუში | ტულუზი, საფრანგეთი |
| ზიად ჯაზირი | ტრუა, საფრანგეთი |
| კარიმ სედირი | რუსენბორგი, ნორვეგია |
| იასინ შიხაუი | ეტოილ საჰელი |
| ისამ ჟომაა | ლანსი, საფრანგეთი |

## ირანი

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| იბრაჰიმ მირზაპური | ფულად ხუზესტანი |
| ვაჰიდ ტალებლოო | ესტეგლალი |
| ჰასან რუდბარიანი | პასი |

**მცველები**

| | |
|---|---|
| იაია გოლმოჰამადი | საბა ბათერი |
| მოჰამად ნოსრატი | პასი |
| რაჰმან რეზაეი | მესინა, იტალია |
| სატარ ზარე | ბერგ შირაზი |
| ჰოსეინ კააბი | ფულად ხუზესტანი |
| სოჰრაბ ბახტიარიზადეჰი | საბა ბათერი |
| ამირ ჰოსეინ სადექი | ესტეგლალი |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| ჯავად ნეკუნამი | შარიაჰი, საამიროები |
| ანდერანიკ თეიმურიანი | აბომოსლემ ხორასანი |
| მეჰდი მაჰდავიკია | ჰამბურგი, გერმანია |
| ფერეიდონ ზანდი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| ალი ქარიმი | ბაიერნი, გერმანია |
| მეჰრზად მადანჩი | პერსეპოლისი |
| ჯავად კაზემიანი | პერსეპოლისი |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| ალი დაეი | საბა ბათერი |
| ვაჰიდ ჰაშემიანი | ჰანოვერი, გერმანია |
| რეზა ენაიატი | ესტეგლალი |
| არაშ ბორჰანი | პასი |
| მასუდ შოჯაი | საიფა |
| რასულ ხატიბი | სეპაჰანი |

## ანგოლასთან ვერ გაისეირნებ

**რიკარდო კვარესმა,** ვინც „პორტუსთან“ ერთად ამ სეზონში პორტუგალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ 23-კაციან სამუნდიალო განაცხადში არ შეიყვანა. ნაკრებს მიღმა დარჩა ტრავმირებული ჟორჟე ანდრადეც, ხოლო მოსკოვის „დინამოს“ ლეგიონერი კოშტინია რჩეულთა შორისაა. კვარესმასაც ტრავმები აწუხებდა სეზონის განმავლობაში და მწვრთნელმა ამიტომ არ იახლა.

სკოლარიმ თქვა, რომ ჯერ არ იცის, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში: „ჯერ არ გადამიწყვეტია. უახლოესი ამხანაგური მატჩისთვის უკვე მყავს შეგულებული 7-8 ფეხბურთელი, დანარჩენებს კი ნელ-ნელა შევარჩევ“.

კითხვაზე, თუ რომელი მატჩი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში ყველაზე რთული, მწვრთნელმა უპასუხა: „პირველი ყოველთვის ყველაზე რთულია. ირანი ძალიან ძლიერი გუნდია, მექსიკა ერთობ ტექნიკური და იოლი გასეირნება არც ანგოლასთან გველის“.

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| რიკარდუ | სპორტინგი |
| კიმი | ბენფიკა |
| ბრუნო ვალე | ამადორა |

**მცველები**

| | |
|---|---|
| მიგელი | ვალენსია, ესპანეთი |
| პაულუ ფერეირა | ჩელსი, ინგლისი |
| რიკარდუ კარვალიუ | ჩელსი, ინგლისი |
| ფერნანდუ მეირა | შტუტგარტი, გერმანია |
| რიკარდუ როჩა | პორტუ |
| მარკუ კანეირა | სპორტინგი |
| ნუნუ ვალენტე | ევერტონი, ინგლისი |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| ფრანსისკო კოშტინია | დინამო, რუსეთი |
| არმანდუ პეტიტი | ბენფიკა, პორტუგალია |
| მანიშე რიბეირუ | ჩელსი, ინგლისი |
| ტიაგუ | ლიონი, საფრანგეთი |
| დეკუ სოუზა | ბარსელონა, ესპანეთი |
| უგო ვიარა | ვალენსია, ესპანეთი |
| ლუიშ ფიგუ | ინტერი, იტალია |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| სიმაო საბროსა | ბენფიკა |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| ნუნუ გომეში | ბენფიკა |
| პედრუ პაულეტა | პსჟ, საფრანგეთი |
| ლუიშ ბოა მორტე | ფულემი, ინგლისი |
| ელდერ პოშტიგა | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |


ტომაშ ფრანკოვსკი

## სისულელეა!

**პოლონეთის** ნაკრების მწვრთნელმა პაველ იანაშმა სამსოფლიოსჩემპიონატოდ 23 კაცი კი დაასახელა, მაგრამ ამ სიის ნახვის შემდეგ მთელი პოლონეთი გაოგნდა. „იუვენტუსისა“ და პოლონეთის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა ზბიგნევ ბონეკმა მწვრთნელს არჩევანი დაუწუნა, რადგან განაცხადში არ შეიყვანეს ირჟი დუდეკი, შესარჩევი ეტაპის მთავარმეგოლე ტომაშ ფრანკოვსკი, მცველი ტომაშ რჟასა და ნახევარმცველი და ყოფილი კაპიტანი ტომაშ კლოსი.

„ამ გუნდით ჯგუფური ეტაპიდან თუ გავარდნენ, მაშინ ევროპის მომავალ ჩემპიონატზე მაინც უნდა გაიყვანოს ნაკრები იანაშმა, თუ არადა მოხსნან — თქვა ბონეკმა — დუდეკის არწაყვანა კიდევ აიხსნება, მაგრამ ტომაშ ფრანკოვსკის ნაკრებსმიღმა დატოვება სისულელეა“.

იანაშმა კი განაცხადა: „დუდუკი კარგი მეკარეა, თუმც სათამაშო პრაქტიკა აკლია და ამიტომ არ მიმყავს“.

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| არტურ ბორუცი | სელტიკი, შოტლანდია |
| ლუკაშ ფაბიანსკი | ლეგია |
| ტომაშ კუშჩაკი | ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი |

**მცველები**

| | |
|---|---|
| იაცეკ ბაკი | ალ რაიანი, ყატარი |
| მარჩინ ბაშჩინსკი | ვისლა |
| მიხალ ჟევლაკოვი | ანდერლეხტი, ბელგია |
| მარიუშ იოპი | მოსკვა, რუსეთი |
| სევერინ განცარჩიკი | მეტალისტი, უკრაინა |
| მარიუშ ლევანდოვსკი | შახტარი, უკრაინა |
| დარიუშ დუდკა | ვისლა |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| ეუსებიუშ შმოლარეკი | დორტმუნდი, გერმანია |
| კამილ კოსოვსკი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| იაცეკ კრჟინოვეკი | ლევერკუზენი, გერმანია |
| არკადიუშ რადომსკი | აუსტრია, ავსტრია |
| სებასტიან მილა | აუსტრია, ავსტრია |
| მიროსლავ შიმკოვიაკი | ტრაბსონსფორი, თურქეთი |
| პიოტრ გიზა | კრაკოვია |
| დამიან გორავსკი | მოსკვა, რუსეთი |
| რადოსლავ სობოლევსკი | ვისლა |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| მაცეი ჟურავსკი | სელტიკი, შოტლანდია |
| გჟეგოჟ რასიაკი | საუთჰემპტონი, ინგლისი |
| ირენეუშ იელენი | პლოცკი |
| პაველ ბროზეკი | ვისლა |

# ფეხბურთი იტალიელების არ არის



პროკურატურიდან გამოსული სიგარიანი მოჯი

**საქმეს** კოჭებში ეტყობაო, რომ იტყვიან ისეა. იტალიასთან დაკავშირებით მთელი მსოფლიოს მიმომხილველები ერთ აზრზე არიან, ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყანაში არეული საფეხბურთო სახლის დალაგება სერიოზულად გაძნელდება.

ყველაფერი კი „იუვენტუსიდან" დაიწყო. მოგეხსენებათ, ტურინელებმა რამდენიმე დღის წინ, უფრო ზუსტად კი კვირას, 29-ედ მოიგეს სერია A-ს ტიტული, მაგრამ ზეიმი გაუხუნდათ, რადგან ეჭვი გაჩნდა, რომ წინა სეზონში, როდესაც „იუვე" ასევე ჩემპიონი იყო, გუნდს ზოგი თამაში ჩაწყობილი ჰქონდა. საქმეს ნეაპოლის პროკურატურა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია იძიებენ. თანამდებობიდან უკვე გადადგა „ბებერი ქალბატონის" დირექტორთა ტრიო — ანტონიო ჯირაუდო, ლუჩანო მოჯი, რობერტო ბეტეგა. იტალიაში ხალხის დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ თუკი თამაშების ჩაწყობა დამტკიცდება, „იუვენტუსს" სერია B-ში გააგდებენ, თუმცა არის მეორე ნაწილიც, რომელიც ამტკიცებს, რომ კლუბს, რომელსაც ისეთი გავლენიანი პატრონი ჰყავს, როგორიც ანიელების ოჯახია, სერიოზულად ვერავინ დასჯის.

ვინ არიან ანიელები? ორი სიტყვით გეტყვით: ისინი გახლავან საავტომობილო კონცერნ „ფიატის" მფლობელები და ნახევარკუნძულზე ისეთი ავტორიტეტით სარგებლობენ, რომ შეიძლება ითქვას, თუკი ვინმე სამეფო გვარის სტატუსსა და მდგომარეობასთან არის ახლოს, სწორედ ანიელები გახლავან.

აი, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე რომში მცხოვრები ინგლისელი ჟურნალისტი პედი ეგნიუ, რომელიც 20 წელიწადია სერია A-ს აკვირდება და ამასწინათ წიგნიც გამოსცა სახელწოდებით „ფორცა იტალია":

„თუ მართლია, რომ იტალიის ყველაზე წარმატებული და პრესტიჟული კლუბი „იუვენტუსი" მაქინაციებს კადრულობდა, მას საზღაური უნდა გადაახდევინონ. ფედერაციამ მისი დასჯით სერიოზული სიგნალი უნდა გაუგზავნოს ყველას, რადგან, ის, რაც ახლა ხდება, იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი კორუფციული სკანდალია. გაზეთებში უამრავი რამ დაიწერა და ზეწოლა არც ფიფასა და უეფადან დააკლდება, რადგან აქ საქმე მხოლოდ სერია A-საც არ ეხება, აქ ჩემპიონთა ლიგაზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეა საუბარი. ბოლოს და ბოლოს, თუ მსოფლიო თამაშში მონაწილეობა გინდა, გარკვეულ სტანდარტებს უნდა დაემორჩილო. უეფა აუცილებლად შეისწავლის იტალიური ფეხბურთის სიღრმეებს და ნახავს, ცუდ სტადიონებს, გულშემატკივართა ხულიგნობასა და სკანდალებს. ეს ველარ გაგრძელდება, რადგან ფეხბურთი საერთაშორისო თამაშია და ყველას ეხება. ხოლო, რაც ეხება გამოძიებას, აქ ორი მიმართულება იკვეთება. ერთია სახელმწიფო-სამართლებრივი, რომელიც გაჭიანურდება, მეორე კი სპორტულ-სამართლებრივი, რომელიც უფრო სწრაფად განვითარდება. როდესაც ვამბობ უფრო სწრაფად, ძიების შემდეგი სეზონის დაწყებამდე დამთავრებას ვგულისხმობ".

„სარბიელის" მკითხველებს მოეხსენებათ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ, არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონი ოქტომბერში დაიწყოს, რითაც შეეცდება სკანდალის გამოძიებას შეძლებისდაგვარად მეტი დრო მისცეს.

ეგნიუ ამბობს, რომ იტალიური ფეხბურთის დიდმოხელეთა ბოლოდროინდელი გადადგომები მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი გზაა.

„და კიდევ, დღევანდელ ვითარებას ფინანსური მდგომარეობაც განაპირობებს. ამწუთას ყველაფერი რამდენიმე დიდი კლუბის ხელშია, მაგრამ მწამს, ფინანსები უფრო თანაბრად რომ იყოს გადანაწილებული და ჩემპიონატში კონკურენცია მეტი იყოს, მოჯისნაირი ადამიანები ასეთ ძალაუფლებას ვერ ჩაიგდებდნენ ხელში" — დასძენს იტალიის მცოდნე ინგლისელი.

ხოლო, საკუთრივ მოჯის დაკითხვა, რომელსაც მთელი საფეხბურთო იტალია დიდი ინტერესით ელოდა, ორშაბათს, რომში შვიდ საათს გაგრძელდა, თუმცა იქიდან გამოსულმა „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა მაინც გამონახა ჟურნალისტებთან გასაუბრების ძალა.

„დღეს ძალიან დავიღალე, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რადგან ყველაფერს ნათელი მოვფინე — ბრძანა დონ ლუჩანომ — საერთოდ, ფეხბურთი ისეთი სფეროა, სადაც ყველა თავისთვის იბრძვის და იქ მუდმივმოქმედი ალიანსები არ არსებობს. შესაბამისად, მეც ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია. ამწუთას ჩემი ქცევა იქითკენაა მიმართული, რომ არ დავშინდე. დღეს უკვე არსებულმა ძალებმა ხომ კედელთან ჩემი მიმწყვდევა დააპირეს".

როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, დაკითხვაზე მოჯიმ უარყო ყველა ჯურის საფეხბურთო მაქინაციებში მონაწილეობა. მისმა ადვოკატმა ფულვიო ჯანარიამ განაცხადა, რომ დაკითხვა მშვიდი საუბრის ფორმით მიმდინარეობდა და ერთი წამითაც არ გამწვავებულა.

„მთელი დროის ნახევარი ზოგად საკითხებზე დისკუსიას მიეძღვნა, დანარჩენი დრო კი კონკრეტულ ფაქტებს დაეთმო" — თქვა ჯანარიამ.

**პაპუნა ქედია**




იბრაჰიმოვიჩის ჯადოგოლი იტალიელთა კარში

# გლიჯეთ იბრას სახეში, მაინც ვერ მიხვდება

**ზლატან იბრაჰიმოვიჩს** „იუვენტუსში" კარგი სეზონი ნამდვილად არ გამოუვიდა, მაგრამ ცოტა ხანში მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გაიბრწყინოს, არ გაგიკვირდეთ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იბრაჰიმოვიჩის ამბავი მოგვეხსენება კარგად. ჯერ კიდევ მაშინ, მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერი მალმიოელი ბავშვი რომ იყო და „აიაქსში" მის გადასვლას არაფერი მოასწავებდა, ზლატანის ცხოვრება ავარდნებისა და ჩავარდნებისგან შედგებოდა. შემდეგ, როგორც ვთქვით, ის „აიაქსმა" წაიყვანა, სადაც სამ წელიწადში 71 თამაში ჩაატარა და 32 გოლი გაიტანა, რასაც „იუვენტუსის" ინტერესი მოჰყვა. ტურინელებმა იბრაჰიმოვიჩი 2004 წელს 19 მილიონ ევროდ შეიძინეს და ფორვარდმაც გაამართლა, პირველსავე სეზონში 16 გოლი შეაგდო, რითაც „ბებერი ქალბატონის" ჩემპიონობაში დიდი წვლილი შეიტანა. აი, ახლახან დასრულებულ სეზონში კი... ახოვანმა შვედმა გვარიანად იწვალა. არა და არ უნდოდათ მის დარტყმულ ბურთებს მეტოქეთა კარებში შევარდნა, მაგრამ ისევ იმ აზრზე ვართ, თავიდან რომ მოგახსენეთ — მსოფლიოს ჩემპიონატზე იბრაჰიმოვიჩისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ხოლო ის, რომ 24 წლის თავდამსხმელი მუნდიალის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პერსონაჟი იქნება, ორი აზრი არ არსებობს. რატომ? აი, რატომაც:

...ერთხელ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა აეროპორტში იხუმრა, ჩანთაში პისტოლეტი მიდევსო და ისეთი რია-რია გამოიწვია, დაცვის მთელმა სამსახურმა ალყა შემოარტყა.

...ერთხელაც, ქუჩაში პოლიციელი განასახიერა და ეცა კაცს, რომელიც მაწანწალა ეგონა, ხელში კი მეძავთა დასახმარებელი საქველმოქმედო საქმიანობით დაკავებული მღვდელი შერჩა.

...გაბრაზებულმა, შვედი ჟურნალისტი ქალისთვის რესტორნის გარეთ მანქანის დაჯახება სცადა და შემდეგ, როდესაც ამას სკანდალი მოჰყვა, განაცხადა, არაფერი მომხდარა, მოგეჩვენათო. საბოლოოდ, რასაკვირველია, ბოდიშის მოხდა მოუწია.

...ერთხელ, ერთმა გაზეთმა თავის სპორტულ და არა შესაბამის გვერდებზე ხუმრობით გამოაქვეყნა იბრაჰიმოვიჩის პირადი განცხადება: ვეძებ ასეთ და ასეთ ქალს და ა.შ. მსურველებს ვთხოვთ მიაკითხოს შვედეთის ფეხბურთის ფედერაციასო. რა დღეში ჩაცვივდნენ მეორე დღეს ფედერაციის თანამშრომლები, ხომ წარმოგიდგენიათ.

და ისევე, როგორც ცხოვრება, სკანდალებითაა სავსე იბრაჰიმოვიჩის საფეხბურთო კარიერაც. პირველ იტალიურ სეზონში „ინტერის" სინიშა მიხაილოვიჩს ურქინა და იმავე გუნდის მეორე ფეხბურთელთან, ივან კორდობასთან იჩხუბა.

„მისთვის მართლა რომ მდომოდა თავის დარტყმა, ველარც წამოდგებოდა" — განაცხადა მიხაილოვიჩის ინციდენტთან დაკავშირებით.

ერთხელ, ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, „აიაქსში" თამაშის დროს ლივერპულელ შტეფან ანშოსთან ჩხუბი რომ მოგივიდა თუ გახსოვსო, რაზეც დედით ბოსნიელმა და მამით ხორვატმა შვედმა პატიოსნად მიუგო, როგორ არ მახსოვს, ჯერ მე ვხიე მარჯვენა, მერე იმანაც მარჯვენათი მიპასუხა, რასაც მარცხენა მივაყოლე და ჰოთ-დოგის საყიდლადაც გავუშვიო.

სამაგიეროდ, ყოფილა პრესკონფერენცია, რომელზეც იბრაჰიმოვიჩი კარგა ხანს იჯდა და მარტო „ჰოსა" და „არას" პასუხობდა.

ამასწინათ კი ზლატანმა ბრძანა: „წარსულში ბევრი შეცდომა დამიშვია, მაგრამ მეტს აღარ ვიზამ და საერთოდაც, არც ისე ცუდი ვარ ზოგს რომ ვგონივარ".

და ბოლოს, შვედეთისა და არგენტინის ნაკრებების შეხვედრაში მწვრთნელებმა ის სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენეს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველას აინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა „იბრა", მაგრამ...

„იცით, მე როგორი კაცი ვარ? სახეში რომ დამარტყათ, ვერც კი მივხვდები" — იყო პასუხი.

**პაპუნა ქედია**

# როსიმ ბირჟაობა დროებით შეწყვიტა

**იტალიურ** ფეხბურთში მიმდინარე სკანდალს, მოგეხსენებათ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფრანკო კარაროს თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა, გუშინ კი იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც ქვეყანაში მთელ სპორტს ხელმძღვანელობს, მისი დროებითი შემცვლელის ვინაობა დაასახელა — გვიდო როსი.

როსი 75 წლისაა. ის საფონდო ბირჟის Consob-ის შეფია და როგორც ამბობენ, ფედერაციაში საქმეების დალაგება ხელეწიფება.



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი ჩემპიონატი(6)** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 263 | ლიდსი-უოტფორდი | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | ჩელტენემი-უიკომბი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი(6)** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 264 | ჰერეფორდი-ჰალიფაქსი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 67 | ზენიტი-როსტოვი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 112 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1.75 | 3.60 | 3.80 | 1.17 | 1.19 | 1.84 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 121 | ჰაკა-ჰონკა | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 19:30 | 122 | ინტერი-ჰიკ | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 19:30 | 123 | კუოპიო-ტურკუ | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:30 | 124 | მარიეჰამნი-ლაჰტი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:30 | 125 | ვპს-ტამპერე | 4.80 | 3.50 | 1.65 | 2.02 | 1.22 | 1.12 |
| 20:00 | 126 | მიუპა-კტპ | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 272 | სან ლუისი-პაჩუკა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 163 | ბარსელონა-არსენალი | 2.00 | 3.10 | 3.75 | 1.21 | 1.30 | 1.69 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 267 | დანია(21)-ესპანეთი(21) | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 20:30 | 268 | ჰოლანდია(21)-გერმანია(21) | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 269 | შოტლანდია(21)-თურქეთი(21) | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 14:00 | 173 | ტოკიო-ურავა | 2.80 | 3.00 | 2.25 | 1.44 | 1.24 | 1.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 174 | ფუკუოკა-იოკოჰამა | 2.80 | 3.00 | 2.25 | 1.44 | 1.24 | 1.28 |
| 14:00 | 175 | კავასაკი-ოიტა | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 14:00 | 176 | კუიტო-კაშიმა | 3.30 | 3.10 | 2.05 | 1.59 | 1.26 | 1.23 |
| 14:00 | 177 | ომია-ჩერეძო | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 14:00 | 178 | ჰიროსიმა-შიმიცუ | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 14:00 | 179 | ნიიგატა-იჩიჰარა | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 14:00 | 180 | ივატა-კოფუ | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 14:00 | 273 | ცსკა-სპარტაკი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 167 | ბრომაპოიკარნა-მიალბი | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.10 | 1.20 | 2.05 |
| 20:00 | 170 | დეგერფორსი-ასირისკა | 2.50 | 3.30 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |

**ჩოგბურთი.ქალები**
**რაბატი.თიხნარი**
**17 მაისი**

13:00 362 სფარი-ნ უბეროი ---------- 1.50 ---------- 2.10
13:00 363 ჩენგი-ფედოსოვა ---------- 1.20 ---------- 3.00

**ჩოგბურთი.კაცები**
**ჰამბურგი**
**თიხნარი**
**17 მაისი**

13:00 351 ანჩიჩი-გარსია ლოპესი ---------- 1.70 ---------- 1.85
13:00 352 ი ნიემინენი-კ როხუსი ---------- 1.30 ---------- 2.85
13:00 353 რობრედო-სერა ---------- 1.35 ---------- 2.90
13:00 354 მატი-ვლიეგენი ---------- 1.70 ---------- 1.90
13:00 355 დ ფერერი-სერეტა ---------- 1.20 ---------- 3.50
13:00 358 ვერდასკო-ჯოკოვიჩი ---------- 1.60 ---------- 1.95
13:00 359 შტეპანეკი-ფაუ ---------- 1.30 ---------- 2.90

**ჩოგბურთი.ქალები**
**რომი**
**თიხნარი**
**17 მაისი**

15:00 368 იანკოვიჩი-სანჩეს ლორენცო ---------- 1.80 ---------- 1.80
15:00 369 პ შნაიდერი-დუშევინა ---------- 1.25 ---------- 2.90

**კრივი**
**17 მაისი**

09:00 347 ა.მუნდინი-დ.გრინი ---------- 1.70 ------ 18.00 ------ 1.90

**20 მაისი**

23:45 348 მ.ა.ბერერა-რ.ხუარესი ---------- 1.15 ------ 20.00 ------ 4.00

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)**
**(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

12163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.55 ----------- 2.10

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს**
**(ძირითადი დრო)**

13163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.60 ----------- 1.90

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.60 ----------- 2.10

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15163 ბარსელონა-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ფრეს გარეშე**
**(ძირ დრო)**

16163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.45 ----------- 2.50

**გოლი:წყვილი-1ლუწ კენტი-2.**
**(0:0 ითვლება წყვილად)**

17163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.85 ----------- 1.95

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

18163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.45 ----------- 2.45

## I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10163 ბარსელონა-არსენალი | 2.35 | 2.00 | 4.50 | 1.08 | 1.54 | 1.38 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11163 ბარსელონა-არსენალი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.70 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დივუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

**ჯგუფი A 9101**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |

**ჯგუფი B 9102**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |

**ჯგუფი C 9103**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | კოტ დივუარი | 9.00 |

**ჯგუფი D 9104**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

**ჯგუფი E 9105**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | აშშ | 7.00 |
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | განა | 10.00 |

**ჯგუფი F 9106**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

**ჯგუფი G 9107**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | კორეა | 10.00 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |

**ჯგუფი H 9108**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |



# ძვირი და უშემოსავლო

## ფარიკაობა საქართველოში იუნიორების სპორტია

*გასულ უქმეებზე დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. მედლების ექვსი კომპლექტი ქართველმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა და ირანელმა იუნიორმა გოგო-ბიჭებმა გაითამაშეს. გუნდური პირველობა მასპინძლებს ერგოთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ქართული შემადგენლობაც გამოიკვეთა. სეზონის მთავარი ტურნირი შემოდგომაზე იტალიაში ჩატარდება. მანამდე არაერთი შეჯიბრი გაიმართება, მაგრამ არასაკმარისი დაფინანსების გამო ჩვენები, ალბათ იქ ვერ გაემგ ზავრებიან. თბილისურ ტურნირსა და ქართული ფარიკაობის დღევანდელ დღეზე ფედერაციის გენერალურ მდივან მორის სახვაძეს გავესაუბრეთ*

— თბილისში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება ჩვენი ფარიკაობის და საერთოდ სპორტის წარმატებაც იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სპორტის ამ სახეობას ისე გაუჭირდა, ტურნირების მასპინძლობას ვინ ჩივის, უცხოურ შეჯიბრებებზე გუნდის გაშვებაც უდიდეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული. სეზონის განმავლობაში 3-4 ტურნირზე წასვლა თუ ხერხდებოდა, ისიც საქართველოსთან ახლოს მყოფ ქვეყნებში.

— ახლა სიტუაცია გამოსწორდა?

— იდეალურ პირობებამდე რომ ბევრი გვიკლია, ფაქტია, თუმც პროგრესი მაინც იგრძნობა. წლის დასაწყისში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ ოთხი ბილიკი შეიძინა. რუსეთის ფედერაციამ აპარატურა გვაჩუქა. ასევე აპარატურა და სპორტსმენთა ამუნიცია ჩვენმა ოლიმპიურმა ფონდმა გადმოგვცა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი თანხით კი შიდა ტურნირების ჩატარება გადაწყდა. მდგომარეობა ცოტა გამოსწორდა და საერთაშორისო ტურნირისთვისაც გამოვძებნეთ სახსრები. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ თბილისის იუნიორთა ტურნირი ტრადიციული გახდება.

— იუნიორებზე რატომ გააკეთეთ აქცენტი?

— იმიტომ, რომ დიდები არ გვყავს. ქართველი მოფარიკავეები ადრეულ ასაკშივე მიდიან სპორტიდან. პერსპექტივას ვერ ხედავენ და მარტო დარბაზში სიარულს და ვარჯიშს სხვა საქმით დაკავებას ამჯობინებენ. ვინ იცის, ამის გამო რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი დავკარგეთ.

— ამ თაობაში თუ არიან პერსპექტიული მოფარიკავეები?

— ჩავლილ ტურნირზე ჩვენები საკმაოდ კარგად გამოვიდნენ, თუმც მათ პერსპექტივაზე საუბარი ჯერ ძალიან ძნელია. საამისოდ ბევრ შეჯიბრში მონაწილეობაა საჭირო, რაც ძალიან ძნელია. საერთოდ ფარიკაობა საკმაოდ ძვირი და უშემოსავლო სახეობაა. ერთი სპორტსმენის ამუნიცია დაახლოებით ათას ხუთას ევრომდე ჯდება. არც საკლუბო ჩემპიონატები არსებობს, ვინმე უცხოეთში რომ წავიდეს და მერე ნაკრებსაც გამოადგეს.

— მაშასადამე დიდების ტურნირებზეც იუნიორები წავლენ?

— ეს ერთის მხრივ კარგიც შეიძლება იყოს, მაგრამ მაქსიმალური ხელშეწყობა სჭირდებათ. მსოფლიოს ჩემპიონატი სექტემბრის ბოლოს იტალიაში გაიმართება და მასზე რვა კაცის წაყვანას ვგეგმავთ, მაგრამ იქამდე საერთაშორისო არენაზე გასვლა მოხერხდება თუ არა, ჯერ ვერ გეტყვით. არადა, სექტემბრამდე ბევრი ტურნირია. ივლისში სულაც ევროპის ჩემპიონატია თურქეთში.

— ოლიმპიური ლიცენზიების გაცემა როდისლა დაიწყება?

— მომავალი წლის 1 მაისიდან და 2008 წლის 30 აპრილამდე გასტანს. ამ ერთწლიან მონაკვეთში ოცამდე A კატეგორიის ტურნირი და ხუთი გრანპრი ჩატარდება. ექვსექვსი საუკეთესო შედეგის მიხედვით შედგენილი კლასიფიკაციით ლიცენზიები ამ კლასიფიკაციის მოწინავეებზე გადანაწილდება. ურთულესი სისტემაა, მით უმეტეს, ჩვენთვის.

— ესე იგი, ბოლო შანსად ველური ბარათის მიღებაღა რჩება?

— ლიცენზიების გაჩუქება ისტორიას ჩაბარდა, თუმც ბოლო შანსი იმ ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგაც რჩება. 2008 წლის მაისში ულიცენზიო ქვეყნებისთვის სპეციალური ტურნირი ჩატარდება და თითო სახეობაში 2-2 საგზური გათამაშდება. რეალურად ალბათ ესაა ჩვენი შანსი, მაგრამ სატურნირო პრაქტიკის გარეშე მისი გამოყენებაც ძალიან გაჭირდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| კაცები |
|---|
| **ხმალი** |
| 1 იმინ ჩორბანი (ირანი) |
| 2 ნიკოლოზ ბახსოლიანი (საქართველო) |
| 3 კახაბერ მაღრაძე (საქართველო) |
| 3 ჰამედ ხალეგი (ირანი) |
| **რაპირა** |
| 1 მიგრან კაზარიანი (სომხეთი) |
| 2 სანდრო სიხარულიძე (საქართველო) |
| 3 ვანდ ახმადი (ირანი) |
| 3 სამიდ ნაგაფი (ირანი) |
| **დაშნა** |
| 1 დავით ელბაქიძე (საქარველო) |
| 2 ანდრეი აკაევი (საქართველო) |
| 3 მიქაელ კაზარიანი (სომხეთი) |
| 3 არაშ ნოზადი (ირანი) |

| ქალები |
|---|
| **ხმალი** |
| 1 აიდა ალასკაროვა (აზერბაიჯანი) |
| 2 სევილ ბუნიატოვა (აზერბაიჯანი) |
| 3 თეოდორა კახიანი (საქართველო) |
| 3 სონა მამადოვა (აზერბაიჯანი) |
| **რაპირა** |
| 1 ნატო კობიაშვილი (საქართველო) |
| 2 ანა ძნელაძე (საქართველო) |
| 3 მადონა ჩაბრაძე (საქართველო) |
| 3 რუსუდან ნირქვაძე (საქართველო) |
| **დაშნა** |
| 1 ქეთევან სილაგაძე (საქართველო) |
| 2 ქეთევან ქაფიანიძე(საქართველო) |
| 3 ნათია ჩაჩხიანი (საქართველო) |
| 3 ხატია ლელაძე (საქართველო) |



# კამერუნშიც თამაშობენ?!

## გერმანელები სულხან ახვლედიანს სტაბილურობას დაპირდნენ

*სამი წელია, რაც საქართველოს საფრენბურთო ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედი სულხან ახვლედიანი გალეგიონერდა და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის, გიზენის „ტე-ეს-ფო"-ში თამაშობს. შვედეთთან წაგებული მატჩში ახვლედიანი სხვათაგან გამორჩეული იყო და ბლომად ბურთებით დაბომბა მეტოქე. სამწუხაროდ, სკანდინავიელთა დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ახვლედიანს ნამატჩევს გავესაუბრეთ*



— გერმანიის ჩემპიონატი ახლახან დასრულდა და ცოტა გადაღლილი ვარ, შვედებთან მატჩისათვის ფორმის აღდგენა ვერ მოვასწარი.

— „ტე-ეს-ფო" რა გაქანების კლუბია?

— მესამე სეზონია, მეორე ბუნდესლიგაში ვთამაშობთ და ყოველთვის ერთი ნაბიჯი გვაკლდება პირველი ბუნდესლიგაში გადასასვლელად. ახლაც სეზონი სტაბილურად დავიწყეთ, პრინციპული მატჩებიც მოვიგეთ, მაგრამ ბოლოსკენ რაღაც დაგვემართა და ორი გადამწყვეტი მატჩი წავაგეთ. საბოლოოდ მეოთხე ადგილი დავიკავეთ. პირველი ბუნდესლიგაში კი პირველ-მეორე ადგილოსნები გადადიან.

— კლუბის ხელმძღვანელობამ ეს შედეგი წარუმატებლად მიიჩნია?

— სეზონი ნორმალურად შეფასდა. პრინციპში ჩვენდამი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. მომავალი სეზონისთვის კი ორი ძლიერი ფრენბურთელის დამატებას აპირებენ. თქვენ კიდევ, ერთი წელიც და პირველი ბუნდესლიგაში უნდა ვითამაშოთო.

— გუნდში რამდენი ლეგიონერი ხართ?

— ჩემი ჩათვლით ხუთნი ვართ. ხორვატი, მაროკოელი, თურქი და კამერუნელი ფრენბურთელები გვყავს. თურმე კამერუნშიც თამაშობენ ფრენბურთს. სხვათა შორის, კარგი მოთამაშე და პიროვნებაა.

— პირობები როგორი გაქვთ?

— პირობებით ბუნდესლიგის ბევრ კლუბს ვჯობივართ. თითქმის ყველაფერი გვაქვს — კარგი დარბაზი, სავარჯიშო მოედანი, სატრენაჟორო, ფიტნეს კლუბი... ერთი სიტყვით, კლუბის უფროსობამ კარგი პირობები შეგვიქმნა.

— ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე ხარ?

— გუნდში იმ პირობით მივედი, რომ ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ვითამაშებდი. თუ ტრავმა არ მაქვს, მატჩს არ ვტოვებ. უთამაშებლობა ნაღდად არ მაწუხებს.

**ბაჩო სვანიძე**



# ისე, ამხანაგური

**სომხეთის** ქალაქ აშტარაკში საქართველოს ნაკრები გარნიკ გუკასიანის სახელობის მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მიიწვიეს, იქ ჩასულ ჩვენებურებს კი მასპინძელთა გარდა არავინ დახვდათ. როგორც საქართველოს მძლეოსანთა ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გვითხრა, შეჯიბრებაში თურქეთის ნაკრებიც უნდა გამოსულიყო, მაგრამ იგი რატომღაც აშტარაკში არ გამოჩენილა, აზერბაიჯანელებს კი, აბა, იქ რა ჩაიყვანდათ...

ასე იყო თუ ისე, ეს შეჯიბრება სომხეთისა და საქართველოს მძლეოსანთათვის ისე რა, ამხანაგური შეხვედრა გამოვიდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა მძლეოსნებმა წლეულს პირველად ამ რამდენიმე დღის წინათ ქუთაისში გამართულ მძლეოსნობის მსოფლიოს დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში სცადეს ძალა, მათთვის აშტარაკში გამოსვლა სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო.

ამის გათვალისწინებით თამაზ მდინარაძე რამდენიმე ჩვენი მძლეოსნის შედეგებით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია, მათ შორის სპრინტერების დავით ცუცქირიძისა და ვლადიმერ გაბუნიას გამოსვლით, რომლებმაც 100 მეტრზე სირბილში შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს (10,5 და 10,6).

ყველაზე დამაიმედებელი მაინც ახალგაზრდების ამირან კირვალიძისა და ენდრო ზილბერშტეინის გამოსვლა იყო.

კირვალიძემ 400 მეტრზე რბენაშიც გაიმარჯვა და ამავე დისტანციაზე თარჯრბენშიც. თარჯრბენში მან 54,6 აჩვენა, წლეულს ჩინეთში გასამართ იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე მოსახვედრად კი ამ დისტანციის 53,7 წამში გარბენაა საჭირო, რაც სპეციალისტებს ეიმედებათ.

16 წლის ენდრო ზილბერშტეინზე კი იმედებს გაისად გასამართ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე ამყარებენ. ენდრო ჩვენი ცნობილი სტაიერის ზილბერტ ზილბერშტეინის ძმიშვილია და ბიძისგან განსხვავებით, მოკლე დისტანციებზე სირბილს ანიჭებს უპირატესობას. უმცროსმა ზილბერშტეინმა სომხეთში 400 მეტრზე რბენაში 49,7 აჩვენა და II ადგილი დაიკავა, რაც მწვრთნელთა აზრით, მისი ასაკის გათვალისწინებით, ურიგო შედეგი არაა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



*„ჩვენ რომ ძირითადი შემადგენლობა გვყოლოდა, იაპონიის „ა“ და ძირითად ნაკრებს ულაპარაკოდ მოვუგებდით. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ იაპონურ ტურნეზე, ფაქტობრივად, მესამე გუნდით ჩავედით და და თავს ვიმართლებთ, მართლა შევძლებდით იაპონიის დამარცხებას, თუ ძირითადი რაზმი გვეყოლებოდა — გვითხრა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა, გუშინ იაპონიიდან ახალჩამოსულს რომ დავუკავშირდით*

# საქართველომ იაპონიაში მომავალი ნახა

**შეგახსენებთ,** რომ იაპონური ტურნედან საქართველოს ნაკრები ხელმოცარული დაბრუნდა. ჩვენმა „ლელოებმა“ იაპონიის „ა“ ნაკრებთან 14:15, ხოლო იმათ ეროვნულ გუნდთან 7:32 წააგეს. სათქმელია, რომ ჩვენები ოთხი-ხუთი კაცის გარდა სათადარიგოების სათადარიგოებით ჩავიდნენ აზიაში, რაკილა ფრანგულმა კლუბებმა ქართველი ლეგიონერები სანაკრებოდ არ გაათავისუფლეს. მეტიც, ჩვენებს სამატჩო განაცხადში შესაყვანი 22 კაციც არ მოუგროვდათ და ნაკრების მენეჯერი ვასილ აბაშიძე ჩაწერეს სათადარიგოებში. იაპონიის ძირითად გუნდთან კი მაინც 21 კაცით მოუწიათ თამაში, რადგან პირველ მატჩში შერკინების გამთამაშებელი ბიძინა სამხარაძე ისე დაშავდა, რომ განაცხადშიც კი ველარ შეიყვანეს. როგორც ნაკრების მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი კი გვეუბნება, რომ ძირითადი გუნდით იაპონიის დამარცხება რეალური იყო, მაგრამ რაც მოხდა, ისე მოხდა და რამდენად წაადგათ ჩვენებს პრაქტიკულად მესამე გუნდით იაპონურ ტურნეზე ჩასვლა, ამ კითხვაზე ნაკრების თავკაცმა ასე გვიპასუხა: „ტურნე ულაპარაკოდ პოზიტიური იყო. მართალია, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, ძირითადი გუნდით ჩავსულიყავით, მაგრამ უარყოფითიდანაც შეიძლება სარგებლის ნახვა. რაც მთავარია, ახალბედებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, ხოლო ვინც ნაკრებში ახლა იწყებს გაშინაურებას, მათ ბოლომდე შეიგრძნეს რა არის ნამდვილი რაგბი და ბრძოლა. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, ვიცით რეზერვისტებიდან ვის და როდის დავეყრდნოთ.“

და რატომ დარჩა ნაკრები 21 კაცის ამარა? შეიძლებოდა თუ არა, ჩვენს ნაკრებს იაპონური ტურნე მაქსიმალურად გამოეყენებინა და საკადრო პრობლემები არ შექმნოდა? ამ კითხვებზე ჩავლეიშვილის პასუხი ასეთია: „რადგან იაპონური ტურნე რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფიციალურ კალენდარს არ დაემთხვა, წინდაწინ ვიცოდით იმ ლეგიონერების სია, ვისაც კლუბები არ გაათავისუფლებდნენ. ისე მოხდა, რომ ზედ იაპონიაში ჩაფრენის წინ საფრანგეთის ჩამპიონატში თამაშისას დაიმტვრნენ ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე და გიორგი ჩხაიძე. სავიზო პრობლემების გამო სხვა მორაგბეების გამოძახებას ვეღარ ვასწრებდით და იაპონიაში კაცნაკლულნი ამიტომ ჩავედით.“

ერთიც, იაპონიაში ძალიან უკონფლიქტოდ ითამაშეს რუსთაველმა მორკინალმა ირაკლი ნატროშვილმა, ლოკომოტიველმა შალვა რევაზ გიგაურმა და ყოჩელ უკანახაზელ დავით კაჭარავამ. ესენი ახალბედები არიან, მაგრამ იაპონიის ნაკრებთან ისე მონდომებით ითამაშეს, რომ შემოდგომაზე 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის საქართველოს ნაკრების გაფართოებულ რაზმში მოიაზრებიან.

**ბაჩო სვანიძე**



# ქართველმა პაწია დაჩაგრა



**კოკუგიკანური** ბაშოს ორი მესამედი უკანაა. წინ ხუთი ტურიდა რჩება და მიზნის მისაღწევად ქართველ სეკიტორ ლევან ცაგურიას სამი მოგება სჭირდება. მიზანი კი დადებითი ბალანსი, სუმოს ენაზე კატიკოსია.

კოკაიმ გუშინ თავისზე ერთი თავით დაბალი, „პაწიად“ წოდებული ტიონოსიმა გადააგდო საჭიდაო წრის მიღმა და უარყოფით ბალანსსაც თავი დააღწია. ხუთ-ხუთი მოგება-წაგებით ჩვენებური დღეს უმაღლეს დივიზიონ მაკუტის დებიუტანტ ხომასიოს დაეჭიდება.

თასისკენ მიმავალ ტრიოს კი გუშინ არავინ გამოჰკლებია. ოძეკებმა — ტიოტაიკაიმ, ხაკუხომ და სეკივაკე მიაბიამამ მეათე ტურში მეცხრე ქულები მოინაგრეს. მათ უკან რვაქულიანი სამეულია — უბერებელი ოძეკი კაიო და რიგითი მაეგაშირები, კიოკუსუძანი და ესტონელი ბალტი.

**ოთარ მაღლაკელიძე**



**საქართველოს ჩემპიონატი**
**პლეი ოფი. ფინალი**

# რუსთავში ხულიგნებს კალათბურთი დაუმალეს, ავიამშენს კი თასი



| |
|---|
| 16 მაისი. ვერის ბაღი |
| ავიამშენი 2:1 აზოტი |
| **აზოტი 93:68 ავიამშენი** |
| *15:14 24:16 26:19 28:19* |
| აზოტი: ცეკვავა (7), ბოისა (8), ჭოჭუა (6), ტუჯანი (14), ბაბიაშვილი (16); გოგობერიშვილი (15), ჟღენტი (7), იმნაძე (6), ჯაფარიძე (6), არწივიძე (4), ლიპარტელიანი (4), ჩაჩუა |
| ავიამშენი: ტულუში (16), ხოშტარია (5), მარკოიშვილი (9), მინაშვილი (7), როდუმტა (10); დ. ბერიშვილი (11), ნინიაშვილი (5), წოწელია (3), ორმოცაძე (2), ბ. ბერიშვილი |
| მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე |
| კომისარი: მურმან ქურიძე |

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

აი, ასეა — თუ „აზოტი“ დამაჯერებლად იგებს, რუსთაველი ქომაგები მამა აბრამის ბატკნებს ჰგვანან, ისე პატიოსნად გულშემატკივრობენ თავისიანებს, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ამ ხალხს მოედანზე ბოთლის გადმოსაგდებად ხელი წაუცდება. „ქიმიკოსთა“ დარბაზი, რა თქმა უნდა, გაივსო, მაგრამ ფინალურ სერიაში 0:2 ჩამორჩენილ „აზოტს“ გუშინდელ შეხვედრაში თითქმის არ გასჭირვებია და ბოთლი კი არა, მგონი, უბირი სიტყვაც არ გადმოვარდნილა მოედანზე.

ამის მიზეზი ეგებ ქვემოქართლური კალათბურთის ხელმძღვანელთა ხრიკიც იყო. გუშინდელ მატჩზე დასასწრები ბილეთები არ გაყიდულა, „ქიმიკოსთა“ დარბაზში მხოლოდ მოსაწვევებით შეიძლებოდა მოხვედრა. ჰოდა, იმ ბიჭბუჭობამ, რომელიც გინებასა და განსაკუთრებით მოედანზე ბოთლის სროლაში იყო შემჩნეული, ცხადია, მოსაწვევები ვერ მიიღო. სამაგიეროდ, ტრიბუნებზე ბლომად ნახავდით ჰალსტუხიან ბიძებს, ასევე ქარხანა „აზოტის“ პერსონალს, თუმცა ამით ქვემოქართლურ გუნდს მხარდაჭერა ოდნავაც არ დაჰკლებია: დარბაზი სავსე იყო და რუსთაველები ჯიგრით, მაგრამ ზღვარგადაუსვლელად ქომაგობდნენ აზოტელებს.

მატჩამდე მსაჯთა მაგიდაზე დიდის ამბით გამოფინეს საჩემპიონო თასი, რომელიც მეორე ტაიმში სადღაც გაქრა. როცა „აზოტმა“ მესამე მეოთხედში საბოლოოდ გატეხა „ავიამშენი“ და სოლიდური ლიდერობა მოიხელთა, ცხადი გახდა, რომ ჩემპიონის გამოვლენა გადაიდებოდა და თასიც მაგიდიდან აიღეს.

ლევან მოსეშვილმა ყოველგვარი ექსპერიმენტის გარეშე დაიწყო თამაში, ძირითადი ხუთეული დააყენა. აი, ოთარ ხმელიძემ კი მოედანზე მოულოდნელად ლევან ცეკვავა გამოიყვანა. ეს ახალგაზრდა „აზოტის“ სათადარიგო გამთამაშებელია, თუმც ხუთეულში მისმა ჩასმამ ხმელიძეს ერთგვარად გაუმართლა.

ცხადი იყო, რომ ფეხმარდი ცეკვავას მოედანზე გამოყვანა ავიატორთა კონტრშეტევების შესაკავებლად იყო გათვლილი და ასეც მოხდა — მოსეშვილის გუნდმა მეტოქის სწრაფი შეტევებით გაბრუება არათუ საწყის მეოთხედში, არამედ მთელი თამაშის განმავლობაშიც ვერ შეძლო.

კოტე ტულუშისა და ვახტანგ მინაშვილის ქულებით „ავიამშენმა“ სადებიუტო უპირატესობა კი მოიპოვა (7:2), მაგრამ მასპინძლები მალევე ათამაშდნენ და ზვიად ბაბიაშვილის სამქულიანით ლიდერობა პირველად რომ მოიპოვეს, მერე მეტოქე წინ აღარ გაუშვიათ.

ბაბიაშვილი და სხვა რუსთაველი მეფარეებიც ხშირად ადიოდნენ პერიმეტრზე, რადგან სამწამიანში პლასიდე როდუმტასთან ბრძოლას ხეირი არ მოჰქონდა მათთვის. კამერუნელი გაუვალ კედლად იდგა. და რუსთაველებიც ძირითადად პერიმეტრიდან იხვეჭდნენ ქულებს.

საწყისმა მეოთხედმა ვერაფერი გაარკვია, საკმაოდ მწირქულიანად, 15:14 დასრულდა და მეორეში ხმელიძემ „აზოტის“ უკანა ხაზს ახალი სისხლი გადაუსხა. მოედანზე რამაზ გოგობერიშვილისა და არჩილ ჟღენტის ტანდემი გამოჩნდა, რომელმაც დაცვაშიც ივარგა და პერიოდულად, მაგრამ მაინც ახორციელებდა უსწრაფეს გარღვევებს.

შედეგად „აზოტი“ ოდნავ მოსწყდა „ავიამშენს“, 22:15 დაწინაურდა, მაგრამ ეს არ იყო ის, რაც მასპინძლებს გულს დაუმშვიდებდა. რუსთაველებმა იცოდნენ, რომ მთავარი საფრთხე კამერუნელი ახმახისგან მოდიოდა და მას ჯერ დავით იმნაძე მეურვეობდა პერსონალურად, მერე კი ირაკლი ჯაფარიძე. როდუმტამ არ დათმო, ხისტ ბრძოლაში აჰყვა მეურვეებს და მსაჯებმაც არ დაინდეს. მეორე ათწუთეულის ახალდაწყებულზე მას უკვე 4 ჯარიმა მოუგროვდა და იძულებით სათადარიგოებს შეუერთდა.

ამის შემდეგ თბილისელები კიდევ რამდენიმე წუთი უძალიანდებოდნენ რუსთაველებს, ხან გოჩა წოწელიამ ჩააგდო სამიანი და ხანაც დავით ბერიშვილმა საჯარიმოები. ის კი არა, საპირველტაიმო სირენამდე 2 წუთით ადრე „ავიამშენი“ ქულითაც მიუახლოვდა „აზოტს“, მაგრამ სწორედ ამის მერე მოიშალა თბილისელთა დაცვა. ტუჯანიმ და ბაბიაშვილმა მორიგეობით გაარღვიეს სტუმართა დაცვა და დიდ შესვენებაზე მასპინძლები არხეინად გავიდნენ — 39:30.

9-ქულიანმა ჰანდიკაპმა რუსთაველებს დამაჯერებლობა შემატა, ისინი მოედანს ფსიქოლოგიურად გამხნევებულები დაუბრუნდნენ და როცა ბაბიაშვილმა მორიგი სამქულიანი მიითვალა, „აზოტი“ უკვე 12 ქულას იგებდა.

მოედანს სასწრაფოდ დაუბრუნდა პლასიდე როდუმტა, მაგრამ გავარდნის ზღვარზე იყო და ისე თავგამოდებით ვერ იბრძოდა, ავიატორთა წახდენილი საქმე რომ გამოესწორებინა.

თბილისელებმა ერთხელ მაინც გაიბრძოლეს, თუმცა ამას უფრო კოტე ტულუშის წუთიერ გალაღებას თუ დავარქმევთ. „კოსტიამ“ სამქულიანიც ჩააგდო, ორიანიც, საჯარიმოდანაც იხეირა და სხვაობის 4 ქულამდე შემცირება შეძლო, მაგრამ...

რუსთაველთა შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, თუმცა გამორჩეულად მაინც „აზოტის“ ოდინდელი ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი ირჯებოდა და როცა ორქულიანს ჩარიზად ჯარიმაც მიაყოლა, „აზოტი“ 63:44 გაიჭრა წინ.

თამაშის გადასარჩენად თბილისელებს წინ მთელი მეოთხედი ჰქონდათ, მაგრამ მათ ამის გაკეთების არც ილაჯი შერჩენოდათ და ალბათ არც სურვილი — მოსეშვილის სამწყსომ მეტოქეს თავი აღარ შეაკლა, ძალები მომავალი რკენისათვის დაზოგა და საბოლოოდ 25 ქულით დამარცხდა.

პლეი ოფში ქულებს აზრი არ აქვს, მთავარი გამარჯვებაა, ზეგ ერთი ქულითაც რომ მოვიგოთ, ჩემპიონები გავხდებითო, ამბობდა ნამატჩევს ავიატორთა გამთამაშებელი კოტე ტულუში და მართალიც იყო. 25-ქულიანი მარცხი ვერანაირად ვერ აკნინებს „ავიამშენის“ საჩემპიონოდ უკეთეს შანსებს. თბილისელები სერიას 2:1 იგებენ და ოქროს მოსაგებად ორიდან ერთი გამარჯვებაც ჰყოფნით.

2006 NBA Playoffs

# ღმერთო ჩემო, ეს საშინელებაა!

## დალასი სან ანტონიოს აოხრებს



AFP დალახაისი
დირკ ნოვიცკის „დალასი“ ტიმ დანკანის „სან ანტონიოს“ გადაახტა

15 მაისი

### მეორე წრე

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 2:2 კლივლენდი**

**კლივლენდი 74:72 დეტროიტი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (22 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), სნოუ (12), ვარეჟაო (10)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (30), პრინსი (16), ბილაფსი (11)

დიდი ყბედი კაცია რაშიდ ვოლესი. ყველა იმას ამბობს, პირი მუდამ ღია აქვსო — ხან ჩხუბობს, ხან კამათობს — ძირითადად მსაჯებთან. პროგნოზების კეთებაც უყვარს და თუ მის გარშემო მოტრიალე ხალხი არ აჭარბებს, მისი წინასწარმეტყველება ყოველთვის მართლდება. ამ თამაშამდე რაშიდს უთქვამს, „კლივლენდი“ ამ პლეიოფში შინ ბოლოს თამაშობსო. ესე იგი, მისი გათვლით, „დეტროიტი“ ამ თამაშსაც მოიგებდა, სერიაში 3:1 დაწინაურდებოდა და მეტოქეს ორ დღეში შინ მოუმთავრებდა საქმეს.

არ გამოვიდა! „კლივლენდის“ ჭაბუკმა ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა 72:72 ანგარიშზე მატჩის დამთავრებამდე 1,3 წამით ადრე წყვილი საჯარიმო ჩააგდო და თავის გუნდს სეზონი, „დეტროიტს“ კი წვალება გაუხანგრძლივა. თანაც რაშიდს მჩხიბავის რეპუტაციაც შეულახა.

„მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, სათქმელს საქმით გამოვხატავ — ამბობდა ჯეიმსი ნამატჩევს — რაშიდი პირიქითაა, თამაშის წინ ლაპარაკით იმუხტავს თავს. მგონი, მათ მოტივაცია მოაკლდათ და ისიც ამიტომ ალაპარაკდა. ჩვენ რაღა მოტივირება გვინდა? ყველა იმას ჩაგვძახოდა, „დეტროიტთან“ უშანსოდ ხართ და ერთი თამაშის მოგებაც გაგიჭირდებათო, ჩვენივე ქომაგებიც კი ამ აზრზე იყვნენ, მაგრამ ჩვენ არავის ვუსმენთ.“

„მათ იმაზე უკეთ ითამაშეს, ვიდრე შეუძლიათ — ეს უკვე რაშიდ ვოლესის სიტყვებია — ნამდვილი ჯოჯოხეთი მოგვიწყეს“ — რაშიდმა ამ ჯოჯოხეთიდან მხოლოდ შვიდი ქულა და კოჭის ტრავმა გამოიტანა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, ისეთიც არაფერი მოხდა, რაც ადრე არ მომხდარაო. მაგრამ მასაც და სხვა დეტროიტელებსაც, ყველაზე მეტად კი მათ თავკაც ფლიპ სანდერსს, სერიოზულად დაფიქრება მართებთ. კლივლენდში ორივე წაგებული მატჩი სწორედ „დეტროიტს“ რომ უყვარს, ისეთი ჩახურული და ჩახუთული იყო. ასეთ მღვრიე წყალში იჭერს თევზებს ეს გუნდი, „კლივლენდი“ კი დასაჭერად და შესაწვავად განწირული თევზის კვალობაზე ჭკვიანი გამოდგა. ბიჭი, ბიჭიო და, აღარ შეიძლება ლებრონ ჯეიმსთან ხუმრობა.

### დასავლეთი

**სან ანტონიო 1:3 დალასი**

**დალასი 123:118 სან ანტონიო**

*ძირითადი დრო 111:111*

**დალასი:** ტერი (32), ნოვიცკი (28), სტეკჰაუსი (26), ჰარისი (18)
**სან ანტონიო:** პარკერი (33), დანკანი (31 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), ჯინობილი (26), ფინლი (14)

ამ თამაშს ესწრებოდა ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი, რომელსაც ეს დღეებია, თავის ნაზირ-ვეზირებთან დიდი სჯა-ბაასი გაუმართავს პლეი ოფში განთესვის პრინციპის შეცვლის თაობაზე. მოგეხსენებათ, ხმას ისეთი თვისება აქვს, დახურულ კარს იქიდანაც გამოდის გარეთ. ხმები კი ამბობენ, ნბა-ს გამრიგენი ისეთი საპლეიოფო კიბის გამოთლას აპირებენ, რომელიც კონფერენციის ორ უძლიერეს გუნდს კონფერენციის ფინალამდე არ შეაჯახებს ერთმანეთსო.

მაგრამ სანამ ამას გააკეთებენ, აგერ, „სან ანტონიომ“ და „დალასმა“ ერთმანეთი დაჭამეს.

ამ ტიტანთა რკენაში, ალბათ, მაინც ჩემპიონი „სან ანტონიო“ შეიჭმება — „დალასმა“ მეორე შინაური ჯახიც მოიგო, 3:1 დაწინაურდა და ერთ გამარჯვებამდე მიუახლოვდა დასავლეთის ფინალს.

ხომ ჩემპიონია „სან ანტონიო“, რეგულარულ სეზონში 63 თამაში მოიგო და პლეი ოფშიც ჩემპიონის საკადრისად თამაშობს, მაგრამ „დალასს“ მაინც ვერაფერს უხერხებს. პირველი თამაში მოუგო, მერე კი სულ აგებს.

„დალასის“ თავკაც აივერი ჯონსონისთვის არამი არ ყოფილა სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული. მის ხელში „დალასი“ გაცილებით საშიშია, ვიდრე მის განთქმულ მასწავლებელ დონ ნელსონის დროს იყო. არც ოპონენტი ჰყავს ახალბედა, „სან ანტონიოს“ თავკაცი გრეგ პოპოვიჩი 2002 წელს გახლდათ ამ პრიზის მფლობელი. ორივე გუნდს ჰყავს ყოჩაღი შემსრულებლები, გამარჯვებები კი მაინც „დალასს“ მიაქვს.

სერიის პირველ თამაშში მარცხის შემდეგ ჯონსონმა ერთი, თითქოს სპონტანური და არაფრისმომცემი ცვლილება გააკეთა — ხუთეულში შეიყვანა მეორეწლიანი დევინ ჰარისი, მანამდე არაფრით გამორჩეული სათადარიგო, რომელიც ეს სამი მატჩია, სისხლს უშრობს „სან ანტონიოს“. ორმაგი გამთამაშებლით „დალასს“ არ უჭირს მეტოქის კედლის დაბზარვა და დირკ ნოვიცკიმდე ბურთის მიტანა. ეს გამთამაშებლები — ჰარისი და ტერი — თავადაც ბლომად ქულებს იხვეჭენ და გუნდსაც აჩქარებენ.

მეოთხე თამაშში პოპოვიჩმაც იგივე ხერხს მიმართა, თავდამსხმელი ტიმ დანკანი ცენტრად განამწესა და მას გარშემო შემოუწყო ორ მეტრს არალმატებული ოთხი მოთამაშე — პარკერი, ბერი, ბოუენი და ფინლი. ეს უკანასკნელი შარშან გააგდო „დალასმა“ და „სან ანტონიომ“ იაფად აიყვანა. ამასთან პოპოვიჩმა სათადარიგოდ მოიტოვა მანუ ჯინობილი. ცვლილებათა კასკადმა თავიდან გაამართლა — ჩემპიონებმა პირველი მეოთხედი 26:19 მოიგეს, მაგრამ „დალასმა“ მეორეშივე გაქვითა სხვაობა, მესამეში თავად დაწინაურდა და მეოთხეში უკვე „სან ანტონიოს“ მოუხდა ჩამორჩენის დასაფარავად ბრძოლა.

აქ იყოჩაღა ფინლიმ, თავის ყოფილ გუნდს მეოთხე 12-წუთეულში 8 ქულა ჩაუგდო, მათ შორის სირენამდე 15 წამით ადრე სამიანი და 111:109 დააწინაურა თავისიანები. აქ კი დადგა დირკ ნოვიცკის ჯერი — გერმანელმა გადამწყვეტი ბურთი ვერ ესროლა — მისთვისაც კი არაა იოლი ბრიუს ბოუენის მოშორება, მაგრამ ნოვიცკიმ იმდენი მაინც მოახერხა, აბეზარ მეურვეს ჯარიმა აჰკიდა, მერე, რაღა თქმა უნდა, ის ორივე საჯარიმო ჩააგდო და ბრძოლა ოვერ ტაიმში გადაიტანა. იქ კი უკვე ჯეისონ ტერი გამოვიდა სცენაზე.

არადა, „სან ანტონიომ“ დიდებულად ითამაშა. როგორც ამ სერიის ყველა მატჩში, ტიმ დანკანი ახლაც თითქმის შეუჩერებელი იყო, ტონი პარკერმა კი 33 ქულით პირადი საპლეიოფო რეკორდი დაამყარა. დაფრინავდნენ სხვებიც...

...ნოვიცკი იმ საჯარიმოებს რომ აგდებდა, იქვე მსაჯთა მაგიდასთან ჩაცუცქული და თავზე ხელებშემოწყობილი ბრიუს ბოუენი მთელი თავისი გუნდის მაგივრად ოხრავდა — „ღმერთო ჩემო, ეს საშინელებაა!“

**კოტე ყორშია**



## მ-ტელ მასტერსის ტურნირი

9-21 მაისი. სოფია. ბულგარეთი

### V ტური

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0 გატა კამსკი (აშშ)
პეტრ სვიდლერი (რუსეთი) 0,5:0,5 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 0,5:0,5 ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)




# ბულგარელმა ცხრილს ორი თავი მიაბა

**ბულგარეთის** დედაქალაქ სოფიაში მ-ტელ მასტერსად წოდებული მეოცე კატეგორიის ტურნირი მიმდინარეობს. მასში ექვსი ელიტარული მოჭადრაკე იღებს მონაწილეობას და პირველი წრის, ანუ ხუთი ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში ორი დიდოსტატი წამოსკუპდა. გატა კამსკი და ვიშვანათან ანანდი 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ გათამაშებას და უახლოეს მდევრებს მთელი ერთი ქულით უსწრებენ.


ვესელინ ტოპალოვმა გატა კამსკი 42-ე სვლაზე დააშამათა

მანამდე ორი ტური ერთპიროვნულად კამსკი პირველობდა, ვისაც მნიშვნელოვანი წარმატებისთვის კარგა ხანია აღარ მიუღწევია. გატამ ტურნირის სტარტზე თვით ანანდს მოუგო შავებით. თუმც შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონ ვესელინ ტოპალოვთან წააგო და ინდოელი დიდოსტატიც გვერდით მოისვა.

რა თქმა უნდა, ტოპალოვ-კამსკის დაპირისპირება საინტერესო გამოდგა.

მეტოქეებმა დებიუტში სლავური დაცვა გაითამაშეს. ბულგარელმა ცენტრისკენ დარაზმა ჯარები, მხედარ-პაიკები გამოიყვანა და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. მე-14 სვლაზე კამსკიმ როქი გააკეთა, მომდევნოზე კი პაიკი გაუცვალა მეტოქეს და ფიგურები უკან დახია. 21-ე სვლაზე ტოპალოვმა მხედრებით შეუტია ამერიკელს. სუსტ მოიერიშე ფიგურებს მალე ძლიერებიც წამოეშველნენ, შავებს არეული წყობა კიდევ უფრო დაუშალეს და 42-ე სვლაზე შამათი ჩაუსვეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გატა კამსკი | 3,5 ქულა |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 3,5 |
| 3. | ვესელინ ტოპალოვი | 2,5 |
| 4. | პეტრ სვიდლერი | 2,5 |
| 5. | რუსლან პონომარიოვი | 1,5 |
| 6. | ეტიენ ბაკრო | 1,5 |



Giro d'Italia — ჯირო დიტალია 2006. 6-28 მაისი

# ვაიტკუსმა ლიტვას იტალია აჩუქა

**ჯირო დიტალიას** მე-9 ეტაპი ძალზე იოლი და შეიძლება ითქვას, ულიმღამოც კი გამოვიდა. ადრიატიკის ორ სანაპირო დაბას — ფრანკავილა ალ მარესა და ტერმოლის შორის სულ რაღაც 127 კილომეტრზე ანუ 3 საათის სავალზე გაჭიმულ გზაზე საინტერესო არაფერი მომხდარა, ფინიში კი, როგორც ყველა ვაკე-ეტაპზე, დაძაბული სპრინტით დასრულდა. მოულოდნელად იმარჯვა არცთუ ცნობილმა ლიტველმა ტომას ვაიტკუსმა და გახდა ჯიროს ეტაპის მომგები პირველი ლიტველი. ვაიტკუსმა ფინიშზე რამდენიმე გოჯით მიასწრო იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონ პაოლო ბეტინის და სხვა არანაკლებ ფეხმარდ სპრინტერებს. მხოლოდ მეოთხე იყო განთქმული ავსტრალიელი მოფინიშე რობი მაკიუენი, რომელმაც წინა სამი სპრინტი მოიგო, ახლა კი დისტანციის შუაწელს ერთი უმნიშვნელო გორაკის გადალახვისას 50 წამით ჩამორჩა ლიდერებს და სასპრინტო პოზიციაც ველარაფრით გაიუმჯობესა.


AFP
ტომას ვაიტკუსი

მე-9 ეტაპს საერთო ჩათვლაში არაფერი შეუცვლია, საჩემპიონო დავაში კვლავ ივან ბასო ლიდერობს, ვინაც უახლოეს მდევარ ხოსე გუტიერესს წუთნახევრით გაურბის.

# ნადალმა და ფედერერმა ჰამბურგი უარყვეს, ჰამბურგმა საფინი და კორია



ვინუს უილიამსი

**ორ კვირაში** სათიხნარო სეზონის კულმინაცია — „როლან გაროსი" იწყება, რის გამოც ჩოგბურთელთა სოლიდური ნაწილი ამ კვირას დასასვენებლად იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰამბურგში მასტერსი მიმდინარეობს.

„დამსვენებელთა" რიგებში აღმოჩნდნენ რაფაელ ნადალი და როჯერ ფედერერიც. ესპანელმა ორიოდ დღის წინ გილერმო ვილასის რეკორდი გაიმეორა და ჰამბურგში ერთი თამაშის მოგების შემთხვევაში სწორედ 19 წლის პირინეელი შეიქმნებოდა ახალი რეკორდსმენი. თუმც ნადალმა ეს საქმე საპარიზოდ გადადო და გადაწყვიტა, წლის მეორე დიდი ფორუმისთვის კარგად დაისვენოს. მით უმეტეს, რომ შარშან ამ ტაქტიკამ მას „როლან გაროსი" მოაგებინა.

ჰამბურგში კი უმთავრეს ფავორიტთა არყოფნაში უკვე პირველი წრე მიილია და რამდენიმე მოულოდნელობაც მოხდა.

ძალიან გაუგრძელდა სარეაბილიტაციო პერიოდი მარატ საფინს. ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ ორიოდ თვის წინ დაბრუნებული რუსი ვერაფრით ვერ ათამაშდა ძველებურად. იგი უმთავრესად საკუთარი უაზრო შეცდომების გამო აგებს. ამიტომაც სათიხნარო სეზონი ისე გაიარა, რომ ორი წრის გავლა საოცნებოდ ექცა. გერმანიაში კი ამჯერად ყველასათვის უცნობ და საჩოგბურთო ჯურღმულებიდან ამოსულ ფლავიო სერეტასთან წააგო. არადა, საფინმა, როცა მოინდომა, თითქმის იდეალურად ითამაშა და მეორე სეტი მშრალზეც მოიგო. თუმც ეს განწყობა რუსმა მესამე პარტიაში ველარ შეინარჩუნა და მორიგი მარცხი იწვნია.

წააგო გილერმო კორიამაც. ორიოდე წლის წინ ეს არგენტინელი გრუნტზე თითქმის დაუმარცხებელი იყო. თუმც ტრავმებმა ისიც ძალიან გააწამა, რის გამოც ვერ იბრუნებს უწინდელ ფორმას და სულ უფრო ამაზრზენად თამაშობს. ასე განსაჯეთ, ერთ დროს თიხნარის უმთავრეს სპეციალისტად შერაცხული კორია ახლა უკვე ნოვაკ ჯოკოვიჩსაც ვერ ერევა.

კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედები ქომაგებს ორმა ახალგაზრდა ფრანგმა — გაელ მონფილზმა და რიშარ გასკემ, რომლებიც ვერაფრით ვერ შეეგუვნენ „დიდ ჩოგბურთს" და კვლავაც იუნიორთა დარად ირჯებიან.

მოიგო თავისი სადებიუტო მატჩი თიხნარის მოძულე ჯეიმს ბლეიკმა. თან ვის სძლია — მობერებულ, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ კარლოს მოიას.

აი, ქალებმა კი თავი რომში მოიყარეს და, კაცებისგან განსხვავებით, ჩასვლა ამელი მორესმოს გარდა არავის გადაუფიქრებია.

პირველი წრე სულ ფრენა-ფრენით გაიარა მარტინა ჰინგისმა, რომელიც ყოველდღიურად უმატებს. შვეიცარიელმა კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ადგილობრივ სარა ერინს მასტერ-კლასი ჩაუტარა და კორტზევე გააცნო ჩოგბურთის ანბანა.

მოიგო ვენუს ვილიამსმაც, რომელიც „როლან გაროსზე", ალბათ, დიდი იმედებით არ მიდის, მაგრამ ბოლო დროს დიდხანს უთამაშებელ ამერიკელს მაქსიმალურად ბევრი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რომ თავის საყვარელ უიმბლდონს ნორმალურ ფორმაში შეხვდეს.

**ბაჩა ლომაშვილი**

## მასტერსი

### კაცები. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 2 450 000 $

#### პირველი წრე

**ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:6 5:7 6:3; **ფლავიო სარეტა** (ბრაზილია) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:5 0:6 6:4; **დავიდ ფერერი** (16, ესპანეთი) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 6:4 6:2; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (11, შვედეთი) 6:3 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — რიშარ გასკე(საფრანგეთი) 6:4 6:2; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:4 0:6 7:5; **ტომი რობრედო** (8, ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — 6:3 6:2; **კრისტოფ როხუსი** (ბელგია) — პარადორნ შრიჩაპარნი (ტაილანდი) 7:5 6:1; **იარკო ნიემინენი** (13, ფინეთი) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 5:7 6:1 6:4; **მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:2 7:5; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:0 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3 3:6 7:5; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 1:6 6:4 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — გილერმო კორია (10, არგენტინა) 6:3 3:6 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (3, ხორვატია) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:7 6:3 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (15, ჩეხეთი) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 6:3 3:1 (უარი); **ბიორნ ფო** (გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 3:6 6:1 6:4; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 6:4 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:4 6:2; **მაქს მირნი** (ბელორუსია) — ლუის ჰორნა (პერუ) 7:6 7:5; **ფერნანდო გონსალესი** (7, ჩილე) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — 6:4 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) — 6:3 6:4; **ანდრეას სეპი** (იტალია) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 2:6 7:6 6:1; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3 2:0 (უარი)

## ქალები

### რომი. იტალია. თიხნარი. საპრიზო 1 340 000 $

#### პირველი წრე

**კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:3 7:6; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (12, ჩეხეთი) — ემა ლეინი (ფინეთი) 5:7 6:1 6:3; **მარტინა ჰინგისი** (სვეიცარია) — სარა ერინი (იტალია) 6:0 6:1; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 3:6 6:3 7:5; **მარია სანჩეს ლორენცო** (ესპანეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:4 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — ელენა ლიხოვცევა (14, რუსეთი) 6:4 6:3; **ვინუს უილიამსი** (9, აშშ) — ზუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) 6:3 6:2; **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 7:6 6:4; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) — 6:2 6:1; **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — მარეტ ანი (ესტონეთი) — 4:6 6:0 6:4; **ანასტასია მისკინა** (10, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელორუსია) 6:3 3:6 7:6; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — ნატალი ვიერინი (იტალია) — უარი; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:5 6:4; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — ლურდეს დომინგესლინო (ესპანეთი) 6:3 3:0 *(უარი)*



*ახალზელანდიელი მთამსვლელი მარკ ინგლისი გახდა პირველი ფეხებამპუტირებული ადამიანი, რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (8848 მ) ავიდა*

# უფეხო ინგლისმა მწვერვალიდან გადმოგვხედა



**მარკ ინგლისი** თავის თანამეწყვილესთან ერთად, 1982 წელს ახალი ზელანდიის უმაღლეს მწვერვალ კუკზე (3764 მ) ადიოდა, მაგრამ საშინლად გაავდრდა და ორივე მთელი ორი კვირის განმავლობაში ყინულოვანი ნაპრალის ტყვე გახდა. როცა იქამდე მაშველმა ააღწია, ალპინისტები ბედად ცოცხლები აღმოჩნდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მარკ ინგლისს ფეხები მოჰყინოდა და მუხლს ქვემოთ მოაჭრეს.

ფეხების დაკარგვის გამო ინგლისს საკუთარი ძალების რწმენა არ დაუკარგავს და შეუპოვრად დაიწყო ვარჯიში. მერე სათხილამურო სპორტში ინსტრუქტორი გახდა და 2000 წელს სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე ველორბოლაში ვერცხლის მედალიც მოიპოვა. პარალელურად მთაშიც დადიოდა და 2000 წელს მსოფლიოში სიმაღლით მეექვსე მწვერვალ რო-ოიუზეც (8201 მ) ავიდა, ამ ორშაბათს კი 40-დღიანი ლაშქრობის მერე დედამიწის კენწეროსაც უწია.

ინგლისმა დედამიწის სახურავზე სათადარიგოდ ორი პროთეზი წაიღო, თუმცა არც ერთი არ დასჭირვებია.

ეს გამარჯვება 47 წლის მარკს მობილურით ჯერ ცოლმა მიულოცა, მერე ახალი ზელანდიის პრემიერ მინისტრმაც, ფრანს პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში კი ევერესტის დამლაშქრავმა თქვა: „მე ჯომოლუნგმაზე წავედი არა როგორც უფეხებო კაცი, არამედ როგორც მთელი ცხოვრების განმავლობაში მთამსვლელობით გატაცებული ადამიანი. ჩემი ასვლა ევერესტზე ამ სფეროში ჩემსავე მიღწევებს აგვირგვინებს."

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# მსოფლიოს ჩემპიონატი 2006

15 მაისი

## მეორე ჯგუფური ეტაპი

| E ჯგუფი | F ჯგუფი |
| --- | --- |
| კანადა 4:2 ფინეთი | რუსეთი 3:3 შვედეთი |

| G ჯგუფი | |
| --- | --- |
| დანია 3:2 ყაზახეთი | სლოვენია 3:3 იტალია |

**მეორე ეტაპის** ბოლო დღის წინ უკვე ექვსი მეოთხედფინალისტის ვინაობა იყო ცნობილი. მანამდე მეოთხედფინალში გასულ კანადას, ფინეთს, ჩეხეთს, აშშ-სა და რუსეთს შვედეთის ნაკრები დაემატა, და მხოლოდ ორი ვაკანტური ადგილი დარჩა, ორივე F ჯგუფში



ოლი იოკინენმა თავისი მეტოქე კი გახედნა, მაგრამ ფინეთმა მაინც წააგო კანადასთან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge